საქართველოს რესპუბლიკა



დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 8 ივნისი, 2007 წელი.

№ 107 (5708)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდეული სიფიცხეა, ცუდილებით და ჭირებით ბოლოს გაფანა ყველა უკანასკნელ უსაძაგლესია.

რასაც იპოვნელებს ასწავლიან, ჩვენებს თანდაყოლილი აქვთ

ისევ და ისევ ყავლგასული ქუჩის აქციები...

ჩვენი ხელისუფლების წევრთა უმეტესობას „ხელმძღვანელობის“ თვისება, ვგონებ, თანდაყოლილი აქვს და ამით კიდევ ერთხელ დასტურდება, რაოდენ ნიჭიერი ერი ვართ. ნახსენებ უმეტესობას სკოლის მერხიდან ძალაუფლების უმაღლეს ეშელონებამდე მისაღწევად ისე მცირე დრო რჩებოდა, ზემოთქმული თვისება აშკარად თანდაყოლილი უნდა ჰქონდეს 3

რამდენი მილიონი გაფლანგა ხელისუფლებამ ორ კვირაში? 2

გალინა ჯუღაშვილი-სტალინა, იაკობ ჯუღაშვილის ქალიშვილი: მამაჩემი ტყვეობაში არ ყოფილა 10-11

ნარკომანიას ებრძვიან... ნარკომანები! 7

„რაც ვყოფილვართ, ის აღარ ვართ,
რაც ვართ, ის ნულარ ვიქნებით.
ღმერთი გვიხსნის,
თუ შვილთ მაინც,
გზად და ხიდად გავედებით!“ 8-9

„ქმნა მართლისა სამართლისა...“,

ანუ „საერთო ნიადაგის“ თეორია და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობა

მან მოსვლისთანავე პრეზიდენტთან გადაღებული სურათით დაატერორა წევრებიც და თავმჯდომარეებიც. საკაშვილთან გადაღებულ სურათს დააფრიალებდა: სანდრას და მიშას რევოლუციის წინა დღეებში ჩემს სახლში ეძინათ, ისინი ჩემი მეგობრები არიან, რევოლუციის დროს ვეხმარებოდი, ამიტომ მე აქ შემთხვევით მოსული არა ვარო.

ჭირი დანახული ჯობს 6

სახელმწიფო

● საპატიმროებში რეჟიმების დიფერენცირება არ იქნება. მაგალითად, აღარ იქნება მკაცრი, განსაკუთრებული და საერთო რეჟიმების საპატიმროები. იქნება დახურული, ნახევრად ღია, ან ღია ციხეები

◎ პროტესტი

ჩხუბის მერე აპირებენ მუშტების ქნევას?!

მხოლოდ ერთ კვირაში ხელისუფლებამ 25 მილიონი გაფლანგა

„ლეიბორისტული პარტიის“ გენერალურმა მდივანმა იოსებ შატბერაშვილმა პრესკონფერენცია გამართა, რომელიც პედაგოგთა ზაფხულის ერთი თვის ხელფასის გაუქმებას ეხებოდა. მან ხელისუფლების ამგვარი ქმედება მკაცრად გააკრიტიკა და პარტიის სამოქმედო გეგმაც გაამხილა.

„ხელისუფლების თავხედობას საზღვარი არა აქვს. ისინი მოგზაურობების, მივლინებების, შადრევნების, კონცერტების დიდი მოყვარულნი არიან და ამ ყველაფერს ხალხის ინტერესები ეწირება. მხოლოდ 1-დან – 6 ივნისამდე სახელმწიფომ პრეზიდენტის, მისი ადმინისტრაციის, პარლამენტის და მთავრობის მაღალჩინოსნების ვიზიტებსა და მივლინებებში 25 მილიონი ლარი დახარჯა. ამავე დროს, პრეზიდენტის და მისი ოჯახის წევრების მივლინებები იაპონიაში, ევროპასა და სხვაგან სახელმწიფოს ნახევარი მილიონი ლარი დაუჯდა. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი პედაგოგების ხარჯზე გადავიდა. ჩვენმა ჭკუის კოლოფმა განათლების მინისტრმა ამ უზარმაზარი ხარჯების შედეგად წარმოქმნილი საბიუჯეტო კრიზისის შევსება ისევ და ისევ პედაგოგების ხელფასით გადაწყვიტა“, – განაცხადა მან.



მან ჟურნალისტებს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მიღებული მასალები წარმოუდგინა, რომელშიც ზემოთქმულ ვადაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახარჯული თანხების სრული ჩამონათვალია მოცემული. ამ დოკუმენტში დაგვიანებულ თანხებზე საუბარია, ანუ ის, ვინ, ვინ, ან ვინ, ან ... ...

ქვეყანა

● ჩვენი ხელისუფლების წევრთა უმეტესობას „ხელმძღვანელობის“ თვისება, ვგონებ, თანდაყოლილი აქვს და ამით კიდევ ერთხელ დასტურდება, რაოდენ ნიჭიერი ერი ვართ. ნახსენებ უმეტესობას სკოლის მერხიდან ძალაუფლების უმაღლეს ეშელონებამდე მისაღწევად ისე მცირე დრო რჩებოდა, ზემოთქმული თვისება აშკარად თანდაყოლილი უნდა ჰქონდეს

◎ რეაქცია

რასაც იაპონელებს ასწავლიან, ჩვენებს თანდაყოლილი აქვთ

ისევ და ისევ ყავლგასული ქუჩის აქციები...

გარდაქმნის დროს, სადავეები რომ მოგვიბოშეს, ჟურნალ „ვოკრუგ სვეტაში“ წავიკითხე: ჩამოდის ტოკიოს რკინიგზის ერთ-ერთ სადგურზე რუსი ჟურნალისტი. ხედავს, ყოველთვის სადღაც მოჩქარე იაპონელები შეჯგუფებულან და მუცლები ხელებით უჭირავთ. ცნობისწადილმა სძლია. ბრბოში გაერია და გახევდა — დგას 30-იოდ წლის მშვენივრად გამოწყობილი სერიოზული მამაკაცი და ასევე სერიოზულად ისეთი ხაფი ხმით გაჰკივის იაპონიაში იმხანად ყველაზე პოპულარულ სიმღერას, იმასთან შედარებით, ლითონის ღრჭიალი უფრო ამო მოსასმენი იქნებოდა. ხალხი სიცილით კვდება, ხელს იშვერს მისკენ, დასცინის. ის კი ნირსაც არ იცვლის — ისევ ისე სერიოზულად გაჰკივის და გაჰკივის.

ჟურნალისტმა მხრები აიჩეჩა — ვინ, როგორ აფრენსო და გზა განაგრძო. მალე მეორეგან დაინახა თავშეყრილნი. ისინიც იჭაჭებოდნენ. მივიდა. დაახლოებით იმავე ასაკის ისევე ძვირფასად მოსილი კოხტა ქალი ვითომც ცეკვავდა, მაგრამ, ვაი, იმ ცეკვას.

მესამე ადგილზეც რომ გადააწყდა მსგავს სცენას, ჟურნალისტი უკვე პროფესიონალურად დაინტერესდა და გაარკვია: ქუჩის ტაკიმასხარებად ქცეული ბატონები (და ქალბატონები) დიდ-დიდი საწარმოო გაერთიანებების საშუალო რგოლის ხელმძღვანელები ყოფილან. თურმე, დაწინაურებას უპირებდნენ. მანამდე კი უმაღლეს ხელმძღვანელთა კურსები უნდა გაევლოთ და სწორედ ამ კურსების პროგრამა ითვალისწინებდა ზემოაღწერილს.

მიზანი? ხელმძღვანელი არანაირ ვითარებაში არ უნდა დაიბნეს, ყველგან ისე უნდა იგრძნოს თავი, როგორც თევზმა წყალში.

ჩვენი ხელისუფლების წევრთა უმეტესობას „ხელმძღვანელობის“ თვისება, ვგონებ, თანდაყოლილი აქვს და ამით კიდევ ერთხელ დასტურდება, რაოდენ ნიჭიერი ერი ვართ. ნახსენებ უმეტესობას სკოლის მერხიდან ძალაუფლების უმაღლეს ეშელონებამდე მისაღწევად ისე მცირე დრო რჩებოდა, ზემოთქმული თვისება აშკარად თანდაყოლილი უნდა ჰქონდეს. სხვაგვარად ისინი ხელისუფლებაში ვერ აღზევდებოდნენ. უფრო ზუსტად, არ იკადრებდნენ იმისთვის ხელის მოკიდებას, რისიც არა გაეგებოდათ (არც გაეგებათ) რა. რამდენიმე თვის წინათ დატრიალებული კიდევ ერთი სამთავრობო კარუსელის დროს, ოქრუაშვილი და ჩოგოვაძე რომ გაათავისუფლეს, ხომ გვქონდა გულის ფრიალი, ემანდ, გილაურსაც არ წამოუსვან ქეჩოში, სპეციალისტთა მტკიცებით, როგორც იქნა, უსწავლია კილოვატისა და მეგავატის გარჩევაო.

პირველსათქმელს მოვექცეთ. იმ იაპონელებს იმას ასწავლიდნენ, საწარმოში თუ პარნიორებთან, კონკურენტებთან შექმნილ რაგინდა რა რთულ, ეგებ, უაზრო ვითარებაშიც კი, შეენარჩუნებინათ თავდაჭერა, ცივი გონება, ანუ განსჯის უნარი და საქმე მაინც გაეკეთებინათ.

ჩვენთან, აბა, საქმეს ვინღა აკეთებს? არც არავინ! ენებად არიან გაფენილნი და ნირშეუცვლელობა, უტიფრობა, რაკი არაფერი კეთდება, მხოლოდ საჯაროდ სიცრუის სათქმელად სჭირდებათ. კი უნდა შუბლის ძარღვის განწყვეტა იმას, რომ მილეთის ხალხს თვალებში უყურებდე, იცოდე, რომ იმათ იციან, ცრუობსო და მაინც წარბშეუხრელად, წაუბორძიკებლად აახოხორავო სულ მამალი ტყუილები.

გადასახადების გაძვირება (ზოგის სულაც გაორმაგება), მოსაკრებლის დაწესება, სულ ჩვენი კეთილდღეობისთვის ყოფილა გამიზნული. ასე გვარწმუნებენ. თურმე, საქართველო მსოფლიოში უპირველესი თუ არა, ერთ-ერთი პირველია წარმატებული რეფორმების მხრივ. რეფორმა, ერთი მნიშვნელობით, გარდაქმნას, სიახლეების დანერგვას ნიშნავს. იგულისხმება, რომ ამ სიახლეებმა ქვეყანას, ხალხს სიკეთე უნდა მოუტანოს. მაგრამ რეფორმას მეორე მნიშვნელობაც აქვს — მმართველი კლასის (წაიკითხე — კლანის) მიერ, თავისი მდგომარეობის განსამტკიცებლად შემოღებული გარდაქმნები. ჩვენეული რეფორმები სწორედ მეორე მნიშვნელობისაა — რაც უფრო დააბეჩავებ, დააშინებ, თავის სრულ უმწეობაში დაარწმუნებ ხალხს, მით უფრო გაიმყარებ ტახტს. აი, ეს რეფორმები ტარდება ჩვენში და პირველი მნიშვნელობისად კი გვისაღებენ.

ე. წ. მსოფლიო თანამეგობრობაც არ დაბრმავ-დაყრუებულა. დიდებულად უწყის ყოველივე, მაგრამ ასე აძლევს ხელს — ვის რა ჯანდაბად უნდა წელგამართული, ეკონომიკურად, სულიერად ძლეირი და ჯანსაღი საქართველო?! ჰოდა, აპლოდისმენტები და აპლოდისმენტები!

აგერ, ე. წ. პარლამენტსმიღმა ოპოზიციამ, ვითომც რომ გაერთიანდა მაშინაც კი, ზედიზედ გამართულ აქციებზე, ჰა და ჰა, 10-ათასამდე ადამიანის თავმოყრა თუ შეძლო. ესაა ძალა? გინდა — ოპოზიციისა და, გინდა, ხალხისა?!

ვინ დარჩა მოგებული? ხელისუფლება და, ნაწილობრივ, ოპოზიცია, ამბიციურობის, თავკერძობის გამო, მცირე დროითაც რომ ვერ შეძლო გაერთიანება.

ხელისუფლებამ აშკარად დაინახა თავისი ძალა, ხალხის დაკნინების შედეგი და ოპოზიციის უნიათობა.

ოპოზიციამ მცირედ მაინც შეძლო ხალხის ასევე მცირე, ხავს მოჭიდებული ნაწილისთვის თავის მოწონება და სამომავლოდ ხელისუფლებაში აძრომის თავისი შანსებიც უფრო საღად აწონ-დაწონა.

წაგებული და მოტყუებული კი კვლავ და კვლავ ხალხია.

მიმოიხედეთ, ჩამიჩუმიც აღარ ისმის. ყველა ე. წ. ოპოზიციური პარტია თავის ოფისებში გამოიკეტა და იქიდან თუ შეუღრენს ხოლმე ყასიდად ხელისუფლებას. რომ ჰკითხოთ, სამომავლო ბრძოლებისთვის ემზადებიან. ხომ ჰქონდათ ბურთი და მოედანი. მერედა, რას მიაღწიეს?! არც არაფერს. პირიქით, ხელისუფლება დაარწმუნეს მის სიძლიერეში. ეგ იყო და ეგ. რატომ გაჩუმდნენ. აუცილებელია, ხელისუფლებამ კიდევ რაღაც ანტისახალხო მოიგონოს და მერე გამოეფინონ? რომც გამოეფინონ, წინა აქციებზე რომ მიდიოდა ხალხი, იმის მესამედი მიუყვიდეთ, მადლობა თქვან. თუმცა, ვგონებ, ძალზე რიხიანად დაუდეს ხელისუფლებას რაღაც ვადები — თუ ამა და ამ დრომდე ჩვენს ამა და ამ მოთხოვნებს არ შეასრულებთ, ამას და ამას ვიზამთო. ეს „ამას და ამას“ კი ისევ და ისევ ყავლგასული ქუჩის აქციებია...

კონსტანტინე გურგენიძე

◎ ზნეობრიობა

ქრისტიანული სწავლებით დავძლიოთ ძალადობა!

ძალადობა ძალადობის წინააღმდეგ კარგ შედეგს არ მოიტანს

გუშინ „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ წევრებმა თბილისის პირველი გიმნაზიის მოსწავლეებს ბროშურები დაურიგეს სახელწოდებით — „ქრისტიანული სწავლებით დავძლიოთ მოზარდებში ძალადობა!“

მასში დაბეჭდილი იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ის ქადაგება „დედა ეკლესია, ოჯახი, სკოლა“ იყო დაბეჭდილი. „ჩვენს შვილებს უნდა შეეძლოთ მოთმინებაც, შენდობაც, გატანაც. ეს იმას კი არ ნიშნავს, თითქოს მათ არ უნდა ვასწავლოთ ღირსების დაცვა, მაგრამ მათ ღირსება ღირსეულად უნდა დაიცვან და არა ლაჩრული გზით: კაცის კვლით, ბოროტებით, დაუნდობლობით, არამედ სიმართლით, მშვიდობით, ურთიერთპატივისცემით,“ — ნათქვამია ქადაგებაში.

პარტიის წევრებს მიაჩნიათ, რომ მოზარდებში არსებული ძალადობა განათლების სისტემის არასწორი პოლიტიკის შედეგია.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ბაჩუკი ძარდავა: „გვინდა საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენოთ ის პრობლემები, რომლის წინაშეც ჩვენი ახალგაზრდობა დგას. არასწორი ორიენტირებით ძალადობას ვერ აღმოვფხვრით, განათლება სულიერების გარეშე კრახით დასრულდება. დედაეკლესია ყოველთვის იყო ერის სულიერებისა და ზნეობის წარმართველი ძალა. მისი დაბრუნება სკოლებში და რელიგიური სწავლების შემოღება აგვარიდებს პრობლემებს. გამოსავალი, როგორც ხელისუფლება ფიქრობს, სპეც-სკოლები კი არ არის, არამედ სწორად აღზრდაშია“.

ვამზადებთ კანონპროექტს, რომელშიც დასაბუთებული იქნება სკოლებში რელიგიის სწავლების აუცილებლობა მას პარლამენტის საშემოდგომო სესიაზე წარვადგენთ.

პროექტში აუცილებლად ჩაიდება რელიგიური უმცირესობების ინტერესები, რადგან გადაწყვეტილების მიღების უფლება სკოლის სამეთვალყურეო საბჭოს, პედაგოგებს, მშობლებს და ბავშვებს ექნებათ. ისინი თვითონ გადაწყვეტენ, მოიწვიონ, თუ არა სკოლაში მოძღვარი“.

პარტიის მდივანმა გოგა გოგნიაშვილმა აღნიშნა, „სკოლებში აუცილებელია რელიგიის სწავლება. ხოლო რანაირად იქნება ეს, ამას საპატრიარქო გადაწყვეტს. მთავარია, ყველა სკოლას ჰყავდეს მოძღვარი, რომელიც ბავშვებს ეკლესიაში მიიყვანს...“.

ბოლო დროს მომხდარი შემზარავი მკვლელობებიც ცხადყოფს, რომ, მხოლოდ ე.წ. სასკოლო რეფორმა და კეთილმოწყობილი სკოლები ყმაწვილების სწორად აღზრდისათვის არ არის საკმარისი. არც ძალადობა ძალადობის წინააღმდეგ მოიტანს კარგ შედეგს.

ახალგაზრდებს ყველაზე მეტად ზნეობრივი და სულიერი აღზრდა აკლიათ. აშკარად ნაჩქარევი და გაუაზრებელი იყო გადაწყვეტილება სკოლების პროგრამიდან ღვთის სჯულის სწავლების ამოღების შესახებ. მიიღებს თუ არა ხელისუფლება ამ კანონს? ვნახოთ...

ლელა მანაგლიშვილი

◎ ინფორმაცია

მერიის სამი თანამშრომელი დააკავეს

7 ივნისს მთავრობის საგანგებო სხდომაზე ვიცე-მერმა მამუკა ახვლედიანმა ჟურნალისტებს დედაქალაქის მთავრობაში ქრთამის აღების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

ახვლედიანის თქმით, 6 ივნისს ოფიციალური დოკუმენტების გაყალბების ფაქტზე ისანი-სამგორის გამგეობის მთავარი სპეციალისტი ნუკრი კვანტალიანი დააკავეს, რომელიც 800 აშშ დოლარის სანაცვლოდ მოქალაქეს ნოტარიულად ყალბი დოკუმენტის დამზადებას დაჰპირდა, თანხის გადარიცხვა კი „საქართველოს ბანკში“ შესთავაზა.

ასევე დაკავებულია გლდანი-ნაძალადევის გამგეობაში საბინაო განყოფილების თანამშრომელი მიხეილ ბოყოველი, რომელმაც ბინის პრივატიზაციის სანაცვლოდ ქრთამის სახით 500 აშშ დოლარი აიღო.

მესამე შემთხვევა კი ისევ ისანი-სამგორის რაიონში გამოვლინდა. კერძოდ, თბილისის კორპუსის საქალაქო სამსახურის კოორდინატორი, სერვის-ცენტრ „შავნაბადას“ დირექტორი მიხეილ კირაკოზაშვილი 800 აშშ დოლარის ოდენობის ქრთამის აღებისთვის დააკავეს.

ΧΘ-ΙΘΒ-ΗΘ

№ 107. პარასკევი, 8 ივნისი, 2007 წელი.

დღევანდელობა

● საფეხურებრივი ტარიფი თუ გაუქმდება, გადასახადი მინიმალურამდე არ შემცირდება, გახდება საშუალო და იმ ფენას, ვინც დაბალი საფეხურით იხდიდა თანხას, გაუძვირდება



◎ მიწისძვრა ჩვენს სულებში

„თელასის“ აბონენტთა უფლებები „კანონიერად“ ირღვევა(?!)

საქართველოს ენერგეტიკის ეროვნული მარეგულირებელი კომისიის 2006 წლის დადგენილების თანახმად, ელექტროენერგიის შესასყიდი ტარიფი შემდეგნაირად განისაზღვრა: პირველი საფეხური (100 კვტ.სთ) — 13,50 თეთრი; მეორე საფეხური (101 კვტ-სთ 300 კვტ. სთ-მდე) — 16 თეთრი, ხოლო 301 კვტ.სთ და მეტი — 17 თეთრი.

თუმცა აღმოჩნდა, რომ ყოველთვიურად აბონენტთა თითქმის 10-15 პროცენტი ნორმით დადგენილი გადასახადის მაგივრად ან მეტს ან ნაკლებს იხდის (!).

მოქალაქე ირაკლი ოთარაშვილს თელასის ქვითარი მიუვიდა, სადაც გახარჯული ელექტროენერგიის გრაფაში 97 კვტ.სთ. ეწერა, შესაბამისად, მას უნდა გადაეხადა პირველი საფეხურის, ანუ 13,50 თეთრი, რომელიც ჯამში 13,30 ლარს შეადგენდა, თუმცა მას 15,50 ლარი გადაახდევინეს. რატომ გადავიხადე 2 ლარით მეტი, რატომ გვატყუებს „თელასი“? ბუნებრივია მას ეს კითხვა გაუჩნდა, თუმცა ბუნდოვანი პასუხი გასცეს და თითი სემეკისკენ გაიშვირეს.

ჩვენც, რა თქმა უნდა, სემეკს მივმართეთ. მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივმა დამცველმა **დავით მიქაუტაძემ** კი შემდეგი განმარტება მოგვცა:

— სემეკის დადგენილებაში მითითებულია, რომ ჩვენება უნდა ავიღოთ 30 კალენდარული დღის განმავლობაში. საფეხურებრივი ტარიფიც უნდა გამოვიყენოთ შესაბამისი 30 კალენდარული დღის განმავლობაში დამწვარ ელექტროენერგიაზე.

მაგრამ, მოგეხსენებათ, ზუსტად ყოველ 30-ე დღეს ჩვენების აღება მთელ თბილისში ფიზიკურად შეუძლებელია. ქუჩის დასაწყისში რომ დაიწყოს წაკითხვა თელასის წარმომადგენელმა, სანამ ქუჩის ბოლოში ჩავა, შეიძლება უკვე 31-ე დღე იყოს. რადგან ზუსტად ჩვენების აღება 30-ე დღეს შეუძლებელია ყველასთან ერთად მოხდეს, ზოგიერთებთან შეიძლება ჩვენება აიღოს 29-ე, 31-ე, 32-ე დღეს. გამოდის, რომ სემეკის დადგენილება ფაქტობრივად არ სრულდება ზემოთ აღნიშნული ობიექტური გარემოებების გამო.



რაც შეეხება კონკრეტულ აბონენტს, მას 97 კვტ.სთ ენერგია დამწვარი აქვს 29 დღეში და არა 30 დღეში. ამის დასარეგულირებლად მიღებულია ფორმულა: თუ მან 29 დღეში 97 კვტ. დახარჯა, დღეში საშუალოდ 3,2 კვტ. ენერგიას წვავდა. სწორედ იმ ერთი დღის ენერგია დაემატა 97-ს, ჯამი კი 100 კვტ-ს გადასცილდა. ამიტომ ამ აბონენტს მეორე საფეხურით მოუწია გადახდა. ბევრი ამბობს, რომ ის ერთი დღე შინ არ ვიყავითო, მაგრამ რაღა მაინცდამაინც იმ დღეს არ იყო არავინ შინ?

გეტყვით საპირისპირო მაგალითსაც, როცა ჩვენება აღებულია 31 დღეში და დამწვარია 102 კვტ.ს. ელექტროენერგია. წესით, მას მეორე საფეხური შეეს-აბამება, მაგრამ როცა პირობითი გაანგარიშების ფორმულით მივუდგებით, ჯამს ერთ დღეში დამწვარი ენერგია აკლდება და იხდის პირველი საფეხურით. ასეთ შემთხვევაში პრეტენზია არავის არ გასჩენია.

არის ერთიც. აბონენტმა ამ თვეში მეტი გადაიხადა თუ ნაკლები, კომპენსირება ხდება მომდევნო თვეში. ეს სუბიექტური ფაქტორი არ გახლავთ, უბრალოდ შეუძლებელია ყველასთან ყოველ 30-ე დღეს ჩვენების აღება.

რა თქმა უნდა, აბონენტს უფლება აქვს მოსთხოვოს კომპანიას, შეუძლია თუ არ შეუძლია 30 დღეში აიღოს ჩვენება. ასეთი უამრავი საჩივარი შემოდის ჩვენთან. მეც რამდენჯერმე მივმართე სემეკს, გაასწორეთ ეს საკითხი, მოიფიქრეთ რაღაცამეთქი, მაგრამ როცა ყველა დასხდა მაგიდასთან, მივიდნენ ერთ დასკვნამდე: ან უნდა გაუქმდეს საფეხურებრივი ტარიფი, ან შემოიღონ ციფრული მრიცხველი.

საფეხურებრივი ტარიფი თუ გაუქმდება, გადასახადი მინიმალურამდე არ შემცირდება, გახდება საშუალო და იმ ფენას, ვინც დაბალი საფეხურით იხდიდა თანხას, გაუძვირდება.

რაც შეეხება ციფრულ მრიცხველს, ეს არის იმპულსური მრიცხველი, რომელიც ხედავს და წერს თითოეული აბონენტის დანახარჯს უზუსტესად (საათებში, წუთებში და წამებში). დღეის მდგომარეობით საქართველოში ციფრული მრიცხველის შეძენა შეუძლებელია, ვინაიდან კომპანიამ ეს ინვესტიცია რომ გაიღოს, ძალიან იმოქმედებს ტარიფზე და შეიძლება 16 თეთრის ნაცვლად 36 თეთრი გახდეს.

მაინც, ირღვევა თუ არა კონკრეტული აბონენტის უფლება? საზოგადოებრივი დამცველის პასუხია, რომ ირღვევა. არღვევს თუ არა მის უფლებებს თელასი, სემეკი თუ რაოესი, ეს უკვე მომხმარებლისთვის ნაკლებად საინტერესოა. წმინდა იურიდიული თვალსაზრისით ის მართალია და იმიტომ. იყო თუ არა აბონენტი შინ 30-ე დღეს, ესეც საკითხავია. ვთქვათ და, არ იყო, მაშინ რატომ გადაიხადა მან 2 ლარით მეტი? დავუშვათ, რომ მომდევნო თვეს მან 150-200 კვტ.სთ ელექტროენერგია დაწვა, ხომ მოუწევს კვლავ 16 თეთრის, ანუ მეორე საფეხურით გადახდა? ვინ ან როგორ გაუხსენებს მას „ავანსად“ გადახდილ 2 ლარს? — ამ კითხვებს იმ ეჭვამდე მივყავართ, რომ ეს თანხა „თელასის“ ჯიბეში ილექება, დავით მიქაუტაძე კი ჯიუტად აცხადებს, არაო!

არადა, ალბათ ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა ფიცი კი გვწამს (უფრო სწორად, გვინდა ვირწმუნოთ), მაგრამ ბოლო გვაკვირვებს.

თეა მოსია

◎ ინფორმაცია

გელა ბეჟუაშვილი შვედეთში გაემგზავრა

გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი სამუშაო ვიზიტით შვედეთის სამეფოში გაემგზავრა. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები შვედეთის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრთან კარლ ბილდტთან, პარლამენტის სპიკერთან პერ ვესტერბერგთან, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების მინისტრთან გუნილა კარლსონთან, სახელმწიფო მდივანთან ნიკოლა კლასთან, აგრეთვე ბიზნესწრეებისა და მასმედიის წარმომადგენლებთან. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი შვედეთის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტში გამართავს ლექციას თემაზე: „საქართველოს ტრანსფორმაცია: ევროპული არჩევანი“.

ХО-ЭОВ-ЭЕО

◎ რეპლიკა

ათიშა თუ საკუთარი ათიშირება?..

გემოვნებით გაფორმებული აფიშები რედაქციებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში რომ გამოუკრავთ, ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 170 წლისთავის მოახლოებას გვამცნობს: 9 ივნისს ყვარელში დიდ ზეიმზე გვეპატიჟებიან.

აფიშა ინტერესით ჩავიკითხე. მესიამოვნა, რომ „ილიაობაზე“ (თუმცა, ამ სიტყვას, თავად ილიას აგრერიგად რომ უყვარდა, აფიშის შემდგენლები არ ხმარობენ) აშშ და რუსეთის ელჩებიც მიუწვევიათ — ქართველი კაცი ხომ ზეიმსა და ლხინს მეზობელ-მეგობრებთან ერთად ამჯობინებს. მაგრამ სად არიან ჩვენი მეზობელ-მეგობრები — ელჩები აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან, ან ჩვენი ყველაზე ახლო მეგობარი და მოკავშირე უკრაინა, ვისთანაც კაი ხანია ერთ ბედქვეშა ვართ?!

ეს, რაც „ილიაობაზე“ მოწვეულთ შეეხება. ისინი კი, ვინც ღონისძიებაში მონაწილეობენ, აფიშაზე კიდევ უფრო ფართოდ არიან წარმოდგენილი. მეცნიერები, მწერლები, კომპოზიტორები, კულტურის მუშაკები, სპორტსმენები... ილია ხომ მათი სულიერი პაპაა და არაფერი დაშავდებოდა, ვთქვათ, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის (რატომ ვითომ რესპუბლიკურის?!) განყოფილების გამგის გვერდით, თუმცა „შერისხულები“ კი არიან, რობერტ სტურუასთვის და გიგა ლორთქიფანიძისთვისაც მიეჩინათ ადგილი. მათ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებასთან განა ერთხელ და ორჯერ ჰქონიათ შეხება?! უფრო „მძიმე წონის“ არ გახდებოდა აფიშა, მასზე ჭადრაკის ორი ქართველი ლეგენდა ნანა და მაიაც რომ გვეხილა. ცნობილია, რა ინტერესით ადევნებდა თვალს ილია საჭადრაკო ცხოვრებას. მცხეთისა და თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლების გვერდით ვერ ვნახე მათი კოლეგა დუშეთიდან, სადაც ილია ბარე ხუთი წელი მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობდა. აფიშაზე მხოლოდ ერთი რეჟისორია — კინორეჟისორი (და არა კინო-რეჟისორი. სხვა ლაფსუსებიც საკმაოდაა) რევაზ ჩხეიძე. კარგია, რომ „ილიაობაზე“ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსსაც ელოდებიან, მაგრამ ადამიანურ რესურსებს მარტო მართვა კი არა, ადამიანური ურთიერთობა, ყურადღება და სითბო ჭირდება.

თურმე არსებობს ქვით ფერწერაც. მისი დამაარსებელი (ასე წერია) ქართველი მხატვარია! ვიფიქრე, ხელოვნებაში ათობით ახალი მიმართულება იბადება და მაშინვე ყველა „მზის ქვეშ“ მოკალათებას ცდილობს, ქვით ფერწერაც ახალი ხილი თუ-მეთქი და კონსულტაციისთვის ჩემს მეგობარს, თბილისის სამხატვრო აკადემიის ხატვის კათედრის პროფესორს გივი კასრაძეს მივაკითხე. მხრები აიჩეჩა, მსგავსი არაფერი მსმენიაო.

საქართველოში ბევრი იცნობს ფრიდონ ინჯიას. უდავოდ, ღირსეული და პატივცემული პიროვნებაა. წარმომიდგენია, რა უხერხულობაში ჩავარდებოდა, როცა წაიკითხავდა: „საქველმოქმედო ღონისძიება ეწყობა საქართველოს გულმხურვალე პატრიოტისა და ჭეშმარიტი მამულიშვილის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის ფრიდონ ინჯიას თანადგომით, ხელშეწყობითა და დახმარებით.“

ლამის ილია ჭავჭავაძეც კი გაფერმკრთალდა!

არ შეიძლება ასე. ბატონი ფრიდონის მიერ ვაუკაცურად (ვისაც აფხაზეთი ახსოვს) და ნამუსიანად (ვინც მას პირადად იცნობს) განვლილი ცხოვრება სრულებითაც არ საჭიროებს ასეთ, როგორც თავად ილია იტყოდა „კაცის ღირსების დამმდაბლებელ პირფერობას“.

სიკეთის ქმნა იმდენად უთქმელი და იდუმალი პროცესია, რომ მარცხენამაც კი არ უნდა იცოდეს, სიკეთეს რომ თესავს მარჯვენა. დედამიწაც ხომ უხმაუროდ ტრიალებს.

წლეულს ჩვენი პლანეტა მზის გარშემო ილიას დაბადებიდან 170-ე ბრუნს გააკეთებს.

გურამ პავლიაშვილი

◎ ინფორმაცია

გახშირდა ოსთა თარეში

ოსური მხარის მიერ გუშინ დილით გატაცებული გურამ კეკოშვილი გათავისუფლებულია.

დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა კეკოშვილი ერგნეთის საგუშაგოს მიმდებარე ტერიტორიაზე, ე. წ. საემიგრაციო პოსტთან აიყვანეს. იგი ტაქსის მძღოლია.

გურამ კეკოშვილმა რამდენიმე საათი ცხინვალის მილიციაში გაატარა. როგორც თავად აცხადებს, მის მიმართ არანაირი ფიზიკური ზეწოლა არ განხორციელებულა.

ერთ-ერთი ვერსიით, კეკოშვილის დაკავება იმ მიზეზით მოხდა, რომ ქართულ მხარეს ოსი ეროვნების ჩერმენ ჯაგაევი გაეთავისუფლებინა. ჯერ უცნობია, მოხდა თუ არა ჯაგაევის გათავისუფლება.

ინტერპრესნიუსი



გუშინ

● სალომე მინგრელსკაია-ობოლენსკაიას ამბავი აქ არ მთავრდება. როგორც დასაწყისშივე ვთქვით, მისი სახელი 30-იანი წლების მეორე ნახევარში გახმიანდა, როცა სასამართლო სარჩელი წამოიწყო საფრანგეთში გატანილ საქართველოს განძთან დაკავშირებით

უფლისწულ ნიკო ნიკოს ძე დადიანი-მინგრელსკის პირადი დამღა („ნმ“) და გორდის სასახლის ნიშანი

◎ დავიწყებული სახელები

უგანათლებულესი თავადი მინგრელიისა

რასპუტინი თავის სასიძოსთან, ოფიცერ სიმონიკა ფხაკაძესთან ერთად მივიდა. „სავიზიტო“ აბრეშუმის ხალათში, ფართო ხავერდის შარვალსა და რბილ ჩექმებში იყო გამოწყობილი, წელზე ფოჩიანი სარტყელი ერტყა. თხელი წვერით, ჩამპალი კბილებით, გრძელი თმითა და ღრმად ჩაცვენილი, თითქოს უგუგო თვალებით ერთობ არასასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა მათზე, ვინც პირველად ხედავდა ამ საოცარ კაცს. „ჩვეულებრივი წვირიანი მედროგე მოლოკანიაო“, გადაუჩურჩულეს ერთმანეთს.

სტუმარი ქეიფის ეშხში შევიდა. ბევრს ყბედობდა, ამტკიცებდა, თუ საშუალებას მომცემენ, დეკემბრამდე გერმანიასთან ზავს მივაღწევო (ეს ვახშამი 1916 წლის ნოემბერში გაიმართა). ამბობდა, ქართველები მიყვარს, მათთან ყოფნა არ მეშინია, აი, რუს ლისტოკრატებთან (ვითომ, არისტოკრატებთანო) სიარულს კი ვერიდები, რადგან მათ შეუძლიათ მომწამლონო. იქვე გაიმეორა ცნობილი სიტყვები: „თუ მე დავიღუპები, დაიღუპება სამეფო კარი და მთელი რუსეთი“ (ბოლოს მაინც ასე მოხდა!).

როცა რასპუტინმა შეიტყო, ნიკო მინგრელსკი უგანთლებულესი თავადი, უმაღლესი წრის არისტოკრატიაო, „კბენა“ და დაცინვა დაუწყო. დადიანს სანანებელი გაუხდა ამ ვახშმის ინიციატორობა.

საერთოდ რასპუტინს სძულ-



დადიანების მოურავი ვლადიმერ ალშიბაია

ილია მაჩაბლის ძმა, ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი, დასავლეთში სახელგანთქმული საპარფუმერიო ფირმა „პრენს-მაჩაბლის“ დამფუძნებელი გიორგი მაჩაბელი

და არისტოკრატია (თუმცა, ცისფერსისხლიან ქალბატონებზე, ბუზებივით რომ ეხვევნენ, უარს არ ამბობდა), ამასთან, ისიც აღიზიანებდა, რომ ზოგი მათგანი ზიზღით ეპყრობოდა და ნაცნობობის ღირსად არ თვლიდა. მაგალითად, ერთობ გაბოროტებული იყო იმით, რომ მისი მიღება არა და არ სურდა პეტროგრადის გრადონაჩალნიკს ალექსანდრ ობოლენსკის. თავადი რასპუტინის ყველა ბარათს (სხვადასხვა თხოვნით) ხევდა და სანაგვეში ყრიდა. ის კი არა, შინაურებისთვის ნათქვამი ჰქონდა, აქ რომ ფეხი შემოდგას, გავაწკეპლინებო.

შეხვედრისას გრიშკა ყოველთვის უკმაყოფილოდ ებუზღუნებოდა ობოლენსკებთან დაახლოებულ ილია მაჩაბელს, უთხარი იმ „კნიაზიონოკს“, მიმიღოს და მელაპარაკოს, თორემ ცუდად წაუვა საქმეო.

პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი დირექტორი სტეპან ბელეცკი დროებითი მთავრობის საგანგებო საგამოძიებო კომისიას ჩვენებას აძლევს, რასპუტინის გავლენით დედოფალი და მისი ფავორიტი, ფრეილინა ანა ვირუბოვა ცუდად იყვნენ განწყობილი თავად ალექსანდრ ობოლენსკისადმი: „ვირუბოვა ჩიოდა ობოლენსკის მეუღლეზე, რომ ის დაახლოებული იყო იმ სალონებთან, სადაც დედოფალსა და ვირუბოვას კიცხავდნენ რასპუტინთან ურთიერთობის გამო. ვირუბოვა საერთოდ ცუდად იყო განწყობილი ობოლენსკების წყვილისადმი. ამბობდა, ა. ობოლენსკი დედოფლის მოწინააღმდეგეა, რასპუტინი სძულს. ეს გავლენას ახდენს რასპუტინის მიმართ პოლიციის მოხელეთა დამოკიდებულებაზე, ისინი ობოლენსკის ცნობებს აწვდიან რასპუტინის ცხოვრების ყველა წვრილმანზეო. კარის ინტერესებისა და რასპუტინის დაცვის მიზნით საჭიროა ობოლენსკის შეცვლა სანდო ადამიანითო. ამ

აზრს იზიარებდა სასახლის კომენდანტი ვოეიკოვიც“.

ობოლენსკი გრიშკას გაზეთებში გამოჭენებას აპირებდა, ხელთ დიდძალი მაკომპრომეტირებელი მასალა ჰქონდა. რასპუტინმა ეს შეიტყო და განსაკუთრებულად მოინდომა მასთან პირადად შეხვედრა. თან, პარალელურად, კიდევ უფრო აუმხედრა დედოფალი. გრადონაჩალნიკის თანამდებობაზე თავადის დარჩენის საკითხი ბეწვზე დაეკიდა. მაგრამ ს.ბელეცკიმ შუამავლობა ითავა და კომპრომისიც გამოინახა: წერილი არ გამოქვეყნდებოდა, სამაგიეროდ, ბელეცკი ობოლენსკის აარიდებდა რასპუტინის ვიზიტს. ხოლო თუ გრადონაჩალნიკთან რასპუტინს მომავალში რაიმე თხოვნა ექნებოდა და ეს თხოვნა, ასე თუ ისე „დაექვემდებარებოდა შესრულებას“, თვითონ ბელეცკი ეახლებოდა. რასპუტინი დამშვიდდა და ობოლენსკი ცოტა ხნით ადგილს შერჩა.

მაგრამ ა. ა. ხვოსტოვის იუსტიციის მინისტრად ყოფნის დროს ობოლენსკიმ კვლავ შეუტია გრიგორი ეფიმიჩს და მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელი დაადო რამდენიმე პირველი კლასის რესტორანს, რომელთა ორკესტრი და ქოროც რასპუტინის სიმპათიით სარგებლობდა. გრიშკამ რამდენჯერმე ამაოდ სთხოვა სასჯელის მოხსნა. ვითარება კვლავ დაიძაბა.

„... ცოტა ხნის შემდეგ რასპუტინისგან შევიტყვე, რომ უკვე შეურიგდა ობოლენსკის, იყო მასთან სახლში, ჩაიც დალია და თავადმა მისი თხოვნები შეასრულა. ობოლენსკი თითქოს შემორჩა, მაგრამ, ბოლოს მაინც მოხსნეს“, — წერს ს. ბელეცკი.

თუ როგორ მოხდა ეს „შერიგება“ და „ჩაის სმა“, საკმაოდ დაწვრილებით აღწერს ი. მაჩაბელი საქართველოს შინსახკომში 1938 წლის 18 იანვარს მოცემულ ჩვენებაში.

დედოფალი უკვე სწერდა თავის მეუღლეს მთავარბანაკში, ობოლენსკი უნდა შეიცვალოს გრადონაჩალნიკის თანამდებობაზე, რადგან „ჩვენს მეგობარს“ არ ცნობს. საჭიროა მისი ფრონტზე გაგზავნაო.

რასპუტინმა შანტაჟი და მუქარა დაუწყო ობოლენსკის მეუღლეს, ქმარზე გავლენა მოახდინეო. კნეინა სალომე დაფრთხა,თავი დაიმცირა და ილია მაჩაბელსა და კოტე ჯავრიშვილთან ერთად ესტუმრა რასპუტინს. დაარწმუნა, ჩემი ქმარი ძალიან დაკავებულია, ამიტომ ვერ მიგიღოთ, სამაგიეროდ ეს ვიზიტი იმის ნიშნად ჩათვალეთ, რომ ჩვენი ოჯახი თქვენს დიდ ავტორიტეტს აღიარებსო. რასპუტინმა „მონანიება“ მიიღო, მაგრამ ეს მშვენივრად გამოიყენა — სალომეს ფულის გამოძალვა დაუწყო ქმრის „ხელშეუხებლობისათვის“.

ერთ საღამოს რასპუტინმა ილიას დაურეკა, ობოლენსკაია ფულს შემპირდა,შევთანხმდით, რომ შენ გაუვლი და წამომიღებ, ჩორნაია რეჩკაზე, ნოვაია დერევნიაში ვიქნები, ბოშა მარელსკებთანო. წელი მომწყდა ამის გაგონებაზე, მაგრამ რაკი თვით ქალბატონმა სალომემაც მთხოვა, საჩოთირო დავალება შევასრულეო, წერს ი. მაჩაბელი.

ქალაქგარეთ, ნოვაია დერევნიაში რასპუტინთან ერთად იყვნენ მისი მდივანი აარონ სიმანოვიჩი, სიმონიკა ფხაკაძე, თავადი ალექსანდრე ერისტოვი (ერისთავი) და ბოშების მთელი ანსამბლი. ილია გვერდით მოისვეს, ქეიფის დასასრულს რასპუტინმა მოტანილი ფული მოსთხოვა. როცა დალუქული კონვერტი გახსნა და ნახა, მხოლოდ ათასი მანეთი იყო, იყვირა, ეს რა მაიმუნობაა, მე მაგას მათხოვარი ხომ არ ვგონივარ, ამ გროშებს რომ მიგზავნისო. ფხაკაძემაც მხარი აუბა. ბოლოს რასპუტინმა მკერდზე მჯიღი დაიბაგუნა, მეყო, აღარ მოვითმენ, თუ თვითონ ობოლენსკი არ მეახლება, დედას ვუტირებო.

ალექსანდრ ნიკოლაევიჩმა კი არაფერი იცოდა მის თავზე შეგროვილი შავი ღრუბლების შესახებ. ბაიბურშიც არ იყო, თუ გრიშკა ფულს სძალავდა მის მეუღლეს. ამიტომ რასპუტინის გვარის გაგონებაზე კვლავ ქედმაღლური ზიზღით იჩეჩავდა ხოლმე მხრებს. მაგრამ ახლა სხვა გზა არ იყო და ცოლმა და ილია მაჩაბელმა ვედრება დაუწყეს, საქმისთვის ასე სჯობს, თავს სძლიე და მიიღე ის ეშმაკის მოციქულიო. ბოლოს გატეხეს მისი წინააღმდეგობა.

სიმონიკა ფხაკაძე დაჟინებით ურჩევდა სასიმამროს, თვითონ კი არ ხლებოდა, არამედ ობოლენსკის მოსვლა მოეთხოვა, რათა უფრო მოეკლა მისთვის გული. მაგრამ გრიგორი ეფიმიჩი შესძრა იმ ამბავმა,რომ „ყველაზე მტკიცედ დაპირისპირებული ლისტოკრატი“ მოდრიკა და თვითონ ესტუმრა. თან სიმონიკა ფხაკაძე, ილია მაჩაბელი და კოტე ჯავრიშვილი იახლა.

სასტუმრო ოთახში მათ დიასახლისი შეეგება.შემდეგ თავაზიანად მომღიმარი, მაგრამ შინაგანი ბრძოლით ფერდაკარგული ალექსანდრ ნიკოლაევიჩი გამოვიდა. მან რასპუტინი თავისთან კაბინეტში მიიწვია. სიმონიკას შეყოლა უნდოდა, მაგრამ გენერლის სუსხიანმა თვალებმა გზა გადაუღობა.

ამის შემდეგ ობოლენსკი ცოტა ხანს, რასპუტინის სიკვდილამდე, კიდევ შერჩა გრადონაჩალნიკობას, რომელიც 1914 წლის ივლისიდან ეჭირა, შემდეგ კი ფრონტზე წასვლა ითხოვა...

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ობოლენსკებმა თავს უშველეს და პარიზს შეეხიზნენ.

მაგრამ სალომე მინგრელსკაია-ობოლენსკაიას ამბავი აქ არ მთავრდება. როგორც დასაწყისშივე ვთქვით, მისი სახელი 30-იანი წლების მეორე ნახევარში გახმიანდა, როცა სასამართლო სარჩელი წამოიწყო საფრანგეთში გატანილ საქართველოს განძთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ილია მაჩაბელს, იგი 1938 წელს საქართველოს შინსახკომის ჯურღმულებში ჩაკლეს, ძირითად ბრალად გიორგი მაჩაბლის ძმობა და რასპუტინთან ნაცნობობა ედებოდა.

30-იანი წლების დიდ რეპრესიებს ემსხვერპლნენ სიმონიკა ფხაკაძე და კოტე ჯავრიშვილი...

ალეკო ასლანიშვილი

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 104-106.

◎ ინფორმაცია

„თავი დაანებეთ პოლიტიკურ თვალთმაქცობას!“

ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარის იური პოპოვისა და კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მერაბ ანთაძის გუშინდელი შეხვედრა ერთ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა.

მხარეებმა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები განიხილეს. კერძოდ, საუბარი შეეხო წყლის გადაკეტვისა და გზების ბლოკადის საკითხს.

ამასთან, ქართული მხარე შსკ-ის სხდომის დროულად ჩატარებასა და არსებული პრობლემების მოლაპარაკებების გზით გადაწყვეტას ითხოვს.

„ჩვენ ვურჩიეთ რუსულ მხარეს, თავი დაანებოს პოლიტიკურ თვალთმაქცობას და თუ სურს, კონსტრუქციული პოზიცია დაიკავოს კონფლიქტის მოგვარებაში, გადადგას მისაღები ნაბიჯები“ , — განაცხადა მერაბ ანთაძემ.

იური პოპოვი ასევე გეგმავს ცხინვალში ჩასვლას, სადაც დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების წარმომადგენელს ბორის ჩოჩიევს შეხვდება.

ინტერპრესნიუსი

ის, რაც გვჭირს

● ღურჭუმელიძემ მოსვლისთანავე პრეზიდენტთან გადაღებული სურათით დაატერორა წევრებიც და თავმჯდომარეებიც, სააკაშვილთან გადაღებულ სურათს დააფრიალებდა: სანდრას და მიშას რევოლუციის წინა დღეებში ჩემს სახლში ეძინათ, ისინი ჩემი მეგობრები არიან, რევოლუციის დროს ვეხმარებოდი, ამიტომ მე აქ შემთხვევით მოსული არა ვარო

◎ ჭირი დანახული ჯობს

პედაგოგებს თვალში ნაცარს აყრის...

როდესაც 2005 წლის 19 ნოემბერს ქუთაისის მასწავლებელთა პროფკავშირის („სოლიდარობა“) თავმჯდომარემ მანანა ღურჭუმელიძემ ინტრიგებით მოახერხა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა პროფკავშირთან შეერთების გზით ერთ პროფესიულ კავშირად ჩამოყალიბება, რომელსაც საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი (სპმთპ) ეწოდა და სადაც დღემდე მუშაობს გენერალურ მდივნად, თავიდანვე მიზნად დაისახა პროფკავშირული ორგანიზაცია თავის საკუთრებად ეძცია და ძველ თანამშრომლებს ხელი რომ არ შეეშალათ მისი ძმედებისათვის, მათი ეტაპობრივი გათავისუფლება დაიწყო, ხოლო ნათესავ-ახლობლები ხელმძღვანელ პოსტებზე დასვა.

თუ როგორ ჩატარდა ყრილობა, ეს ცალკე განსჯის საგანია. მას ალტერნატივა არ ჰყავდა და ღია კენჭისყრით დაშინებულმა და მორჩილმა დელეგატებმა ერთხმად აირჩიეს, ხოლო ყრილობაზე მიღებული წესდება, რომელსაც ყველა დელეგატმა ხელი მოაწერა, გააყალბეს და იუსტიციის სამინისტროში სულ სხვა შინაარსის წესდება დარეგისტრირდა. ყოველივე ეს მოხდა პროცედურის უხეში დარღვევით, რის გამოც დელეგატთა გარკვეული ნაწილი ითხოვდა გარკვევას, თუ რა იურიდიული საფუძველი ჰქონდათ და ვისი ინტერესებით მოხდა დელეგატებთან შეუთანხმებლად ცვლილებები წესდებაში. 2006 წლის თებერვლიდან ითხოვდნენ დელეგატები ამის გარკვევას, მაგრამ ამაოდ.

ღურჭუმელიძემ მოსვლისთანავე პრეზიდენტთან გადაღებული სურათით დაატერორა წევრებიც და თავმჯდომარეებიც, სააკაშვილთან გადაღებულ სურათს დააფრიალებდა: სანდრას და მიშას რევოლუციის წინა დღეებში ჩემს სახლში ეძინათ, ისინი ჩემი მეგობრები არიან, რევოლუციის დროს ვეხმარებოდი, ამიტომ მე აქ შემთხვევით მოსული არა ვარო.

ყრილობის დამთავრებისთანავე პირველი, რაც გააკეთა ღურჭუმელიძემ, თავისი სიძლიერე რომ გამოეჩინა, პროფკავშირული გაზეთის შპს-დ გადაკეთება მოინდომა და რამდენიმე თვე გაზეთის გამოცემა აგვიკრძალა, ხოლო შემდეგ, როდესაც ახლობელმა იურისტმა აუხსნა, რომ ეს ყრილობას უნდა გადაეწყვიტა, უმალ მოიაზრა, რა უნდა გაეკეთებინა და ბრძანა, გაზეთი რედკოლეგიას გაეკეთებინა, ხოლო ხელმძღვანელად თავისი მეუღლე ზურაბ დათუაშვილი დაგვიყენა, რომელიც ამ დროს საგანმანათლებლო დეპარტამენტის უფროსად მუშაობდა, მაგრამ შემდგომ გაირკვა, რომ ძალიან უნდოდა გაზეთის რედაქტორობა და გენერალურ მდივანს ღურჭუმელიძეს ვინ დაუდგებოდა წინ...

წესდების თანახმად ღურჭუმელიძეს არ ევალება ფინანსური სახსრების განკარგვა, მაგრამ იგი ფაქტობრივად სრულად განაგებს და აკონტროლებს, კანონის უხეში დარღვევით განკარგავს ზემოაღნიშნული პროფკავშირის ფინანსებს.

კანონდარღვევითაა გრანტის ფარგლებში თანხების ხარჯვის მიზნობრიობის საკითხებიც, საბუღალტრო თუ საგადასახადო ვალდებულების აღრიცხვა, მაშინ, როდესაც პროფკავშირს აქვს ეკონომიკური საქმიანობიდან (საგზურებიდან და სხვ) შემოსავლები. სალაროს და საბანკო პროცედურების გარეშე ხორციელდება ფულადი ანგარიშსწორებები, ხდება ბიუჯეტის არასწორი დაგეგმვა, თანხების გადახარჯვა და შემოსავლის არასწორი ხარჯვა, ან საერთოდ აღურიცხაობა.

ღურჭუმელიძემ გაყიდა გრანტით შეძენილი ავტომანქანა, სად წავიდა ეს თანხა, არავინ იცის, აგრეთვე გაყიდა მიკროავტობუსი, რომლის შეძენაშიც ქალაქის ზონალური საბჭოების წილიც იყო. გაყიდვის შემთხვევაში ამ თანხის წილი ზონალურ საბჭოებსაც უნდა დარიგებოდა. ისინი დღემდე უშედეგოდ ითხოვენ ამას. რაკიღა სპმთპ-ს ბიუჯეტი მის განკარგულებაშია შესაბამისად, ბიუჯეტის ხარჯვაც მისსავე ნება-სურვილით ხორციელდება.

ავტომანქანა ჯიპი, რომლის ყიდვის საკითხი გამგეობას უნდა გადაეწყვიტა, მან ერთპიროვნულად შეიძინა და დღეს თვითონ და მისი ქმარი დააქროლებენ პირადი მოხმარებისთვის. მისი ოჯახის შენახვა პედაგოგებს წელიწადში 25 ათას ლარამდე უჯდებათ. ეს რაც ღია და დაუმალავია. ბევრი რამ კი ბუნდოვანია, რადგან რამდენჯერაც ოფიციალური განცხადებით მოვითხოვეთ ფინანსებში ჩახედვა და გარკვევა, თუ სად იხარჯება პედაგოგების საწევროები და გრანტები, არც ერთხელ არ მოგვცეს ამის უფლება (წესდების თანახმად, ყველა წევრს უფლება აქვს ჩაიხედოს ბუღალტერიაში, თუ რაში იხარჯება თანხები).

ღურჭუმელიძეს პროფკავშირის მთელი უძრავი ქონების შპს-დ გადაკეთება უნდა. ეს უძრავი ქონება კი, რომელსაც უკვე თავის საკუთრებად თვლის, საკმაოდ სოლიდურია: 1. წყნეთის პედაგოგთა და მეცნიერთა სახლი, 2. კოჯრის სასწავლო ცენტრი, 3. ქვიშხეთის დასასვენებელი ბაზა, 4. საწირეს დასასვენებელი სახლი, 5. საწირეს დასასვენებელი ბაზა, 6. ფშავლის დასასვენებელი სახლი და თბილისში, გაგარინის მე-4 შესახვევში 194 ათას დოლარად ოფისად შეძენილი კერძო სახლი.

პედაგოგებს ღურჭუმელიძე თვალში ნაცარს აყრის და სემინარებით აბრმავებს — კვალიფიკაციას და ცოდნას გიმაღლებთო, მაგრამ საინტერესოა ერთდღიანი და ორდღიანი სემინარებით პედაგოგები რა ცოდნას იღებენ? 140 ათასმა წევრმა პედაგოგმა ათასი წელიც რომ იცოცხლოს, ყველა მაინც ხომ ვერ მოხვდება წყნეთში სემინარზე? არადა იგი პედაგოგებს გულს უჩუყებს, ამ ყველაფერს თქვენთვის ვაშენებთო, თუმცა ისეთ ფასებს ადებს, რომ პედაგოგების ბიუჯეტი ვერ სწვდება ამ თანხებს და წყნეთი ღურჭუმელიძის ოჯახის დასასვენებელ კერად იქცა.

საინტერესოა ერთი ფაქტიც: ასეთი ყველაფრის მცოდნე ნათესავ-ახლობლები როგორ ჰყვანან, რომ სემინარებს მხოლოდ თავის მეუღლეს, სიძეს და სხვა ახლობლებს ატარებინებს და დიდ ჰონორარებსაც უწერს? ყურადსაღებია ისიც, რომ შეერთების დროს მან არ წარმოადგინა წევრების სიები, ოქმი კვოტის შესახებ, დამალა ბუღალტერია, რომელიც, როგორც ჩანს, საერთოდ არ ჰქონდა. მისსავე აუდიტმა აღმოაჩინა, რომ მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირის „სოლიდარობის“ ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის საბანკო ანგარიშებზე თანხების ბრუნვა არ ფიგურირებს ორგანიზაციის 2006 წლის ბიუჯეტის ფორმირებაში (ამონაწერი დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნიდან).

მანანა ღურჭუმელიძე გეგმაზომიერად ახორციელებს პროფწევრთა ზომბირება-გადაბირების, პროფლიდერების სახელის გატეხისა და შეურაცხყოფის, სასურველი დელეგატების შერჩევისა და მათგან მორჩილი უმრავლესობის შექმნის პოლიტიკას. მისი „რეფორმის“ არსს წარმოადგენს სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან საწევრო შემოსავლების ასი პროცენტით ცენტრალურ ბიუჯეტში კონცენტრირება. ცხადია, ასეთი მიდგომისთვის დაუმორჩილებელი კადრი ხელს არ აძლევს და ასეთებს სამსახურიდან ათავისუფლებს, ხოლო დაშინებულ და მორჩილ გამგეობის წევრებს და დელეგატებს საზღვარგარეთის პროფკავშირებში წერილებს აგზავნინებს, ვითომ სასურველი და ძლიერი ლიდერი იყოს, რათა მიწვევები და გრანტები დაიმსახუროს. იგი ყველანაირი მეთოდებით აიძულებს მანანა კობახიძეს დატოვოს პრეზიდენტის თანამდებობა, რის შემდეგაც თავად მოახდენს მთელი ძალაუფლების უზურპაციას, ამავე დროს, გენერალური მდივანი მაქსიმალურად ცდილობს არ დაუშვას ვიცეპრეზიდენტის ვაკანტური თანამდებობის შევსება, რათა ვიცეპრეზიდენტმა ხელი არ შეუშალოს მის ქმედებებს, პროფკავშირის „პრივატიზაციას“, ანუ სპმთპ-ს უძრავ-მოძრავი ქონების საკუთრებაში დაკანონებას.

დოდო ლაზარაშვილი,
ჟურნალისტი

◎ პოლიტიკა

დაუსჯელობის სინდრომს მეგავებული არაპროფესიონალიზმი

ბოლო დროს, პოლიციის საგრძნობლად ამაღლებული რეიტინგი სულ უფრო და უფრო ეცემა. ამის უმთავრესი მიზეზი კი შსს მაღალჩინოსანთა ბოლო დროს დაუსჯელად ჩავლილი არა ერთი ფაქტი, წარუმატებლად (მსხვერპლით) ჩატარებული მრავალი სპეცოპერაცია და სხვა ბევრი ფაქტორიცაა. ყოველივეს ემატება, ის, რომ არც ერთი მაღალჩინოსანი არ დასჯილა. ხელმძღვანელების დაუსჯელობა და კანონსაწინააღმდეგო ქმედებები ნელ-ნელა მისაბაძი მაგალითი ხდება დაბალი რგოლების თანამშრომლებისათვის. მათ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს კი ხშირად ისეთი მაღალჩინოსნები მფარველობენ, რომლებიც თავად უნდა იყვნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულნი. საზოგადოებისათვის მიწოდებული ინფორმაციები, გამოვლენილი სამართალდამრღვევი პოლიციელების შესახებ, მხოლოდ ზღვაში წვეთია არსებულთან შედარებით. ექსპერტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ შსს-ს დაბალ რგოლებში ნელ-ნელა დაუსჯელობის სინდრომი მყარად იკიდებს ფეხს. მომრავლებული დანაშაული მრავალფეროვანია. ამას ემატება წმინდა არაპროფესიონალიზმით ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები. სპეციალისტთა აზრით, სისტემის ასეთი რეგრესი პირველ რიგში სახელმწიფოს, მის ავტორიტეტს უქმნის საფრთხეს. საზოგადოებას კი დაუცველობის შიში უჩნდება.

ძვეყნის მოსახლეობა არაერთხელ გამხდარა პოლიციელთა პროფესიონალიზმის დეფიციტის მომსწრე. მნიშვნელობა არა აქვს, ეხებოდა ეს სპეცოპერაციებს, ეჭვმიტანილებთან ურთიერთობებს, იარაღის გამოყენების წესების დარღვევებს თუ სხვა.

ახალციხის რაიონის სოფელ აწყურიდან ბორჯომის მიმართულებით მოძრავ საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის ინსპექტორებმა გია ჯვარიძემ და პეტრე ჭიღიაშვილმა მაღალი სიჩქარით მიმავალ მოტოციკლისტს მიხეილ კირაკოსიანს გაჩერების ნიშანი მისცეს. იგი არ დაემორჩილა საპატრულო პოლიციელების მითითებებს და სვლა განაგრძო. მაშინ გია ჭიღიაშვილმა სატაბელო იარაღიდან ესროლა მოტოციკლისტს. კირაკოსიანი ადგილზევე დაიღუპა.

სპეციალისტთა განმარტებით პოლიციელის მხრიდან იარაღის გამოყენება უკიდურესი ზომაა. კანონით ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც საფრთხე ემუქრება პოლიციელის, ან მოქალაქის სიცოცხლეს. ყველა სხვა შემთხვევაში უნდა მოხდეს გამაფრთხილებელი გასროლა და მხოლოდ ამის შემდე — დამიზნებით.

პეტრე ჭიღიაშვილი დაკავებულია. მას სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და განზრახ მკვლელობის ბრალდება აქვს წაყენებული, რაც 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

პოლიციის ზოგიერთი თანამშრომელი იმ დონემდეა დაუსჯელობის სინდრომით შეპყრობილი, რომ საკუთარი ნება-სურვილის შეუსრულებლობის შემთხვევაში იარაღის გამოყენებაზე გადადის. ეს ხდება არა მხოლოდ რიგითი მოქალაქეების, ქუჩაში გამვლელების, არამედ ახლობლებთან მიმართებაშიც.

ოზურგეთის პოლიციის ნატანების ქვეგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს უფროსმა ინსპექტორმა, პოლიციის კაპიტანმა დავით კალანდაძემ ურეკში დასასვენებლად ჩასული ანგელინა ვართანიანი გაიცნო. რესტორანში დაპატიჟა. ნასვამმა მამაკაცმა სტუმარს მასთან გაყოლა შესთავაზა. უარის მიღების შემდეგ ტაბელური იარაღით შეეცადა მის შეშინებას და „მაკაროვი“ საფეთქელთან მიადო. როდესაც ამ ზომამაც არ გასჭრა, პოლიციელმა სასხლეტს თითი გამოკრა... ანგელინა ვართანიანი ფოთის საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

ამჟამად, უკვე ყოფილ თანამშრომელს, ქუთაისის საოლქო სასამართლომ განზრახ მკვლელობის მუხლით 11 წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

* * *

ხშირმა საკადრო ცვლილებებმა, პროფესიონალების ყოველგვარი მოტივაციის გარეშე სამსახურეობრივმა დაქვეითებებმა, დათხოვნებმა პოლიციის რაიონულ რგოლებში სერიოზული დაპირისპირებები გამოიწვია თანამშრომლებს შორის. გაჩნდა რაღაც დაჯგუფებები — „ამის კაცია“, „იმის კაცია“ ნიშნით.

მსგავს შემთხვევას შიდა ქართლის საპატრულო პოლიციაში სერიოზული ინციდენტი მოჰყვა. პოლიციის ინსპექტორებმა იოსებ ბუჩაშვილმა, თეიმურაზ კუპატაძემ და მამუკა თუმანიშვილმა რესტორან „დუქანში“ სამუშაო საათებში ქეიფზე წაასწრეს თავიანთ არაკეთილმოსურნე თანამშრომლებს — საპატრულო პოლიციის სარეგისტრაციო და ტექნიკური ზედამხედველობის ქვეგანყოფილების უფროსს მამუკა იმერლიშვილსა და მისი „გუნდის“ წევრებს. მოსულებმა გადაწყვიტეს შიდაგანაწესის დამრღვევთა შესახებ, შიდა ქართლის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსისათვის ეცნობებინათ.

მოქეიფეები მიხვდნენ, რაც ხდებოდა, ლხინი შეწყვიტეს და ისინიც საპატრულო შენობისაკენ წავიდნენ. ნასვამი იმერლიშვილი ტაბელური იარაღით ხელში შევარდა საპატრულოს უფროსის დავით ტაბუციძის სამუშაო კაბინეტში და ესროლა. ტაბუციძემ მეორე გასროლამდე მოასწრო მოსასვენებელ ოთახში გასვლა. იმერლიშვილს კი, მისი ქეიფის შესახებ ამბის მომტანნი და იმ დროს ოთახში მყოფნი ბუჩაშვილი და კუპატაძე მივარდნენ და შეეცადნენ იარაღის წართმევას. ტაბუციძის ოთახიდან გამომავალი ყვირილის, გინებისა და მტვრევის ხმაზე უფროსის ოთახში იმერლიშვილის გუნდის ორი წევრი ზაზა ხმიადაშვილი და რევაზ ჩოჩიშვილი შეცვივდნენ. მათ მოახერხეს იმერლიშვილის გამოყვანა. „სამეული“ მიიმალა... საბოლოოდ დამნაშავეთაგან ორნი ხმიადაშვილი და ჩოჩიშვილი დაიკავეს. მათ წინასწარი პატიმრობა მიესაჯათ.

რაც შეეხება ინციდენტის ორგანიზატორს მამუკა იმერლიშვილს, იგი იმალება. სასამართლომ მას დაუსწრებლად წაუყენა ბრალი. იმერლიშვილზე ძებნაა გამოცხადებული.

ზაზა გილიხოძე

პრობლემათა პირისპირ

● როგორც ბალზაკმა თქვა: „თამბაქო ანგრევს ტვინს და აჩლუნგებს ერს“. დაჩლუნგებული ერი კი ვერანაირ ღირებულებებს ვერ შექმნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

◎ SIC!

დასავლეთ საქართველოში, ძირითადად გურიისა და სამეგრელოს რეგიონების სოფლებში უკვე, რამოდენიმე კვირაა, ღორების დაავადებება გამოვლინდა. ბოლო დღეებში ინფექციამ კახეთში იფეთქა. ადგილობრივი მოსახლეობა ამბობს, რომ „ღორის შავი ჭირი მძვინვარებს“ და რამოდენიმე ასეული ღორიც იმსხვერპლა. სოფლის მკვიდრნი მათ ხევებსა და მდინარის ნაპირებთან ყრიან, რაც ყოვლად დაუშვებელია სპეციალისტების თქმით, დაავადებული ცხოველების ხორცი მომხმარებლამდე არ მივა, ამაზე მკაცრი კონტროლი ხორციელდება. პატრონებს სთხოვენ, რომ თავიანთ შინაურ ცხოველებს მოუარონ და სხვა ცხოველებისგან მოშორებით ჰყავდეთ. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ დაავადებული ღორის ხორცი, ვიზუალურადაც გამოირჩევა ჯანმრთელი ღორის ხორცისგან. დაავადებულის ხორცი მკვეთრი ლურჯი ფერისა. თუმცა ბაზარზე მის გამოჩენას ნაკლებად ელიან.

აფრიკული შავი ჭირი მძვინვარებს

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის საქალაქო და რაიონული სტრუქტურებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის სპეციალისტებისგან შექმნილი მობილური რეაგირების ჯგუფები, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან ერთად, ახორციელებენ დაავადებების საწინაარმდეგო კომპლექსურ ვეტერინარულ-სანიტარულ და სამეურნეო-ორგანიზაციულ ღონისძიებებს. მასობრივად ჩატარდა და გრძელდება იმ საღორეებისა და ტერიტორიის დეზინფექცია, სადაც დაავადების გამოვლინება და სიკვდილიანობა გამოვლინდა.

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის უფროსის მოადგილე, ჯამბულ მაღლაკელიძე აცხადებს, რომ „დაავადება ცირკოვირუსების მიერ არის გამოწვეული, იგი ორგანიზმის რეზისტენტობას აქვეითებს და ინფექციის აღმძვრელებს უხსის გზას. მსგავსი დაავადება დაფიქსირებულია ევროპის მრავალ ქვეყანაში.“ მისივე თქმით, ვეტერინარულ-სანიტარული და სამეურნეო ორგანიზაციული ღონისძიებების შედეგად, მკვეთრად არის შემცირებული ღორების დაავადება და მათი სიკვდილიანობა.

ღორის ვირუსთან დაკავშირებით, სოფლის მეურნეობის მინისტრმა სოსო ცისკარიშვილმა საგანგებო სხდომაც კი გამართა. საქართველოს ხელისუფლება ამ ვირუსთან ბრძოლისთვის ძალღონეს არ იშურებს. საიდან გაჩნდა საქართველოში ეს ვირუსი, ჯერ კიდევ დასადგენია.

ბოლო მონაცემებით, ვირუსი რუსეთიდან გავრცელდა; ეს ფაქტი იქ მკაცრად ყოფილა გასაიდუმლოებული!

ოლღა ცისკარიშვილი

◎ ცხოვრების წესი

ნარკომანიას ებრძვიან... ნარკომანები!

სამწუხაროდ, ჩვენი სახელმწიფო სტრუქტურები ცნება „ნარკოტიკის“ ქვეშ არ გულისხმობენ თამბაქოს – დედამიწაზე ყველაზე მეტად გავრცელებულ ნარკოტიკს, რომლისგანაც მომდინარეობს ადამიანთა მთელი უბედურება.

ეს უბედურება მძაფრად იჩენს თავს მოზარდებში. თავის მხრივ მოზრდილები და ზრდასრული ადამიანებიც ნერგავენ ბავშვებში თამბაქოს წევის „აუცილებლობას“. ეწევა თამბაქოს დიდი სახელმწიფო მოღვაწე, დიდი მეცნიერი, დიდი მსახიობი, ექიმი და ვექილი... ასეთი პირადი მაგალითებით, თავიანთი მშობლების ზეგავლენითაც, ბავშვები უკვე ფსიქოლოგიურად ემზადებიან ნარკომანობისთვის. პირადი მაგალითი გადამდებია, – ბავშვი ფიქრობს, თუ ასეთი ცნობილი ადამიანები და მშობლები, პედაგოგები, ექიმები, ლამის მთელი სახელმწიფო ეაჩება სიგარეტს, მე რისთვის უნდა მოვიკლო ეს „სიამოვნებაო“.

თამბაქოს წევიდან ადამიანები გადადიან დიდ ნარკომანიაზე. ამიტომაც ჩვენ ვერასოდეს დავამარცხებთ ანაშის ან კოკაინის მომხმარებლებს, თუ მისი სათავე არ ამოვძირკვეთ. ჩვენი ხალი მუდამ იქნება გაბრუებული თამბაქოს ბოლით, მუდამ იქნება კიბოს გამომწვევი ნივთიერებების – ბენზპირენისა და ბენზანტრაცენტის გავლენის ქვეშ (ეს ნივთიერებები კი მხოლოდ თამბაქოშია). მე არაფერს ვამბობ უკვე იმაზე, რაც საყოველთაოდაა ცნობილი: თამბაქო ანახევრებს სიცოცხლეს, იწვევს ნაადრევ სიკვდილს შემოქმედებითი გაფურჩქვნის ასაკში, წამლავს თავის ტვინს. **როგორც ბალზაკმა თქვა: „თამბაქო ანგრევს ტვინს და აჩლუნგებს ერს“. დაჩლუნგებული ერი კი ვერანაირ ღირებულებებს ვერ შექმნის.**

აი, ამ თემებზეა საჭირო ჩვენს ახალგაზრდობასთან (ძირითადად ბავშვებთან) ფართო ფსიქოლოგიური ტრენინგების გამართვა, მათი ფსიქოლოგიური მომზადება მომავალი ჯანსაღი ცხოვრებისთვის და არა იმის რეკლამირება, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი სიგარეტის ვაჭრობით უნდა შეივსოს. მე მიკვირს ერთი გაუთვითცნობიერებელი ქმედებაც ნარკომანიასთან უხეირო მებრძოლთა მხრიდან: **ნარკომანიას ებრძვიან ისინი, ვინც თვითონ არიან ნარკომანები, ე. ი. მოიხმარენ თამბაქოს!**

როცა სახელმწიფოა თამბაქოს, როგორც ნარკოტიკის მთავარი რეალიზატორი და მწარმოებელი, როცა ოფიციალურად დაშვებულია ხალხის მოწამვლა ნიკოტინით, მაშინ პროკურატურის მიერ გამოცხადებული დასჯის მეთოდები მხოლოდ წყლის ნაყვა, ილუზიაა და მეტი არაფერი. როდესაც რაიმე საკითხს წყვეტს სამართალდამცავი სტრუქტურები, ეს შეთანხმებული უნდა იყოს კომპეტენტურ, საქმის მცოდნე ადამიანებთან – ექიმებთან, ფსიქოლოგებთან, პედაგოგებთან, მშობლებთან... მოზარდების ჩარევაც აუცილებლად მიმაჩნია, რადგან მათი აზრი მეტად მნიშვნელოვანია.

საჭიროა მეტი დიალოგი ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად, უნდა გამოიცეს სათანადო ლიტერატურა. ჯერ-ჯერობით ასეთი მუშაობა არ მიმდინარეობს.

ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთიანობის გარეშე შეუძლებელია!

მამია მდინარაძე,
საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრი

◎ მეგალეობა

ამ კუჩკოვანი ხეხილის გამო...

AG VANTAGE ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს საერთაშორისო დახმარების ის პროექტია, რომელიც საქართველოში თესლოვანი და კურკოვანი ხილის ინტენსიური განვითარებისთვის იღვწის. თუ რა მდგომარეობაშია კურკოვანი ხილი, როგორია მისი ზრდის პერსპექტივები, ამ ორგანიზაციის შარშანდელი წლის მუშაობიდანაც ჩანს. როგორც ვთქვით, პროექტი კურკოვანი ხილის აღორძინებას, შემდგომში კი მოსავლიანობის ინტენსიურ ზრდას ითვალისწინებს. ამ მიზნით AG VANTAGE -მ უკვე შემოიტანა სადედე 12 ჯიშის ბალი, ამდენივე ჯიშის ქლიავი და 30 ჯიშის ატამი. აქედან 7 ჯიში ყინვაგამძლეა. მაგრამ საძირეები (სადედურები) ინტენსიური კურკოვანი ხილის საწარმოებლად ჯერჯერობით ვერ მოიძიეს და ეს შემდგომში სასელექციო მუშაობაში დამაბრკოლებელ მიზეზად რჩება. მაგრამ ერთი მთავარი პრობლემა წარმატებითაა გადაჭრილი: სარწყავი წყალი! წვეთოვანი პრინციპით რწყვის მეთოდი დაინერგა და ახლა მელიორაციის ჩინოვნიკები, თათბირებზე წყალს რომ ნაყავენ, AG VANTAG-ს ინტენსიური ბაღების მორწყვას ხელს ვეღარ შეუშლიან.

ილაპარაკო დავით ივანიძის ბაღზე და არ ახსენო პოლ ვოსენი, უბრალოდ, უხერხულია. პროექტის მეხილეობის ექსპერტ-კონსულტანტი, ვისი რეკომენდაციითაც ეს ბაღები გააშენეს, ხშირად ჩამოდის ამერიკიდან ბებინისში აკვირდება ნერგების ზრდას, როგორ ეგუება მცენარე ადგილობრივ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს. ეს მან თქვა: თქვენ არ იცით, მეხილეობის მსოფლიო დონეზე ასასვლელად ღვთით ბოძებული რა პირობები გაქვთო.

სად წავიღოთ მოწეული ხილი, სად დავახარისხოთ, როგორ შევინახოთ, ვიდრე საექსპორტოდ გავიტანდეთ? AG VANTAGE -მ ამაზეც იზრუნა.

ქარელელმა, სოფელ ბრეთში მცხოვრებმა ახალგაზრდა კაცმა მიხეილ ედილაშვილმა, ადრე მეურნეობაში ბრიგადირად რომ მუშაობდა, ახლა ფერმერობას მიჰყო ხელი და წარმატებითაც. მშობლები, მეუღლე, სამი შვილი – ეს უკვე ერთი ღონიერი ბრიგადაა, მიწის ცოდნასა და სიყვარულს კი მათ ვერავინ ასწავლით. ჰოდა, შეიძინა ოჯახმა 16 ჰექტარი სავარგული და 7 ჰექტარზე (ჯერ-ჯერობით) ბაღი გააშენა, ძირითადად ქართული ჯიშები, თუმცა შარშან მიხეილ ედილაშვილმა დავით ივანიძის სადემონსტრაციო ბაღიდან ახალი ამერიკული ნერგებიც შემოიტანა. რომ ნახეს, ედილაშვილების ფერმერული მეურნეობა წარმატებულ საბაზრო ეკონომიკის გზას დაადგაო, იუსაიდის – ამერიკული დახმარები ს ფონდის გრანტმაც არ დაიგვიანა. მიხეილ ედილაშვილმა AG VANTAGE-სთან ურთიერთთანამშრომლობით ააშენა უზარმაზარი ხილსაცავი – ხილის შესანახი მაცივარი, რომლის 250 ტონა ტევადობის ორი საკანი უკვე მზადაა, სხვა ოთხი საკანი კი, ხილის მოსავლის ზრდასთან ერთად, თანდათანობით მწყობრში ჩადგება.

ხილსაცავის მთავარი ღირსება ამერიკული ტექნიკით უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი სამაცივრო მოწყობილობ-დანადგარებია, რომლებიც საკნებში საჭირო ტემპერატურის რეგულირებას ემსახურება. ხილსაცავში, საგანგებოდ გამოყოფილ უზარმაზარ ფართობზე იწარმოებს ბაღებიდან შემოსული ხილის დახარისხება, ყუთებში ჩაწყობა და შენახვა. არასტანდარტულ („ნაქარ“) ხილს წვენების ქარხნებში წაიღებენ, რომელთა რაოდენობა შიდა ქართლის მხარეში ყოველწლიურად იზრდება, თავის მხრივ, კონკურენციის პირობები ქარხნების მეპატრონეთ არასტანდარტული ხილის მაღალ შესასყიდ ფასებს კარნახობს.

ხილი – კურკოვანი, თესლოვანი. კიდევ? კენკროვანი! ძახილის ნიშანი იმიტომ დავსვი, რომ ხილსი ეს სახეობაც ყურადღების ღირსია. სამწუხაროდ, მასზე ცოტა იწერება და, ალბათ, ამიტომაცაა, რომ მის შესახებ ცოტა რამ ვიცით. არადა, კენკროვნები ვიტამინების საწყობია. აგერ, „აგროინფო“ AG VANTAGE-ის ფერმერებისთვის დაფუძნებული ჟურნალი გვამცნობს, რომ, მაგალითად, მაყვალი, გულის, კიბოს, ასევე პარკინსონისა და ალცჰეიმერის დაავადებათა პროფილაქტიკისთვის ძალზე ეფექტური საშუალება ყოფილა. ახლა კენკროვნების სხვა სახეობებს აღარ იკითხავთ? გახვალთ მინდვრად, ტყისპირებში და რაღას აღარ შეხვდებით – მარწყვი, ხურტკმელი, ჟოლო, მოცხარი... მდიდარია ჩვენი მიწა, მაგრამ მინდორ-მინდორ, ტყე-ფლატებში რომ არ იხეტიალოთ (თუმცა ჯანმრთელობისთვის ასეთი ხეტიალიც ფრიად მარგებელია) კასპელმა ინდმეწარმემ თამაზ ნიპარიშვილმა გადაწყვიტა ბუნების მთელი ამ სიმდიდრისთვის, როგორც ზემოთ ვთქვით, ვიტამინების საწყობისთვის თავის ნაკვეთში, ერთად მოეყარა თავი. ჩაიფიქრა დიდი, მომგებიანი საქმე და აღასრულა კიდეც. ამ საქმეში მასაც პროგრამა AG VANTAGE დაეხმარა.

– ჯერ ერთი, იუსაიდის გრანტმა წელში გაგვმართა, – ამბობს თამაზ ნიპარიშვილი, რომელიც იმავდროულად საქართველოს კენკროვანი კულტურების ასოციაციის პრეზიდენტია, – თანხები პირდაპირ გადმოგვირიცხეს და კენკროვნების ნერგებიც თავად ჩამოიტანეს. შემდეგ განბაჟებული საქონელი კასპში მოგვიტანეს, ამასობაში არც ჩვენ ვისხედით გულხელდაკრეფილი: მოვამზადეთ ორი ჰექტარი ფართობი, უფრო სწორად, ჯაგნარი სავარგულად ვაქციეთ, ქვა-ღორღი გავიტანეთ, შემოვღობეთ რკინის ბოძები, ჩავსვით და სარწყავი წყალიც გამოვიყვანეთ. დღეისთვსი ფართობებზე ოთხი სახეობისი კენროვნებს ვახარებთ: ოთხ-ოთხი ჯიშის მოცხანის, ხურტკმელის, მაყვლისა და ჟოლოს ნარგავების საქმე ვიცით, ეკონომიკაში ვერკვევით, ბაზარი შესწავლილი გვაქვს და ამიტომ ხვალინდელი დღე იმედიანად გვესახება. მით უმეტეს, რომ ჩვენი ამერიკელი მეგობარი და პროექტის კონსულტანტი რიჩარდ დეილი მუდმივად საქმის კურსშია როგორ მიგვიდის საქმეები, კასპშიც ხშირად ჩამოდის, გვეხმარება.

თამაზ ნიპარიშვილსა და მის მცირერიცხოვან კოლექტივს საქმეები რომ კარგად მიუდით, მათ სადემონსტრაციო ბაღში ყოფნისას დავრწმუნდით, – შემოღობილი, მოვლილ-დავარცხნილი, მორწყული ფართობები. ეს ნერგები მალე ასობით და ათასობით ადამიანის, ფირმების ფართობებზე „დაიდებს ბინას“; გამრავლდება, მუშა-ხელი დასაქმდება და შემდეგ, ეჭვგარეშეა, ევროპის ბაზარზე ქართული კენკროვანი ხილიც თავის სიტყვას იტყვის.

მადობა, შენ, AG VANTAGE ყველგან წვდება შენი კეთილი თვალი და მზრუნველი ხელი.

გურამ ვაშაკიძე,
„სრ“ საკ. კორ.

№ 107. პარასკევი, 8 ივნისი, 2007 წელი.

● „რაც ვყოფილვართ, ის აღარ ვართ,
რაც ვართ, ის ნულარ ვიქნებით.
ღმერთი გვიხსნის, თუ შვილთ მაინც,
გზად და ხიდად გავედებით!“

„ქმნა მართლისა“

ანუ „საერთო ნიადაგის“ თეორია და

© რა გზა გამოვიარეთ

დისკუსია, რომელიც ამ ხუთი თვის წინათ რედაქციამ შესთავაზა საზოგადოებას, ბუნებრივია, გარკვეული მიზანდასახულობით იყო ჩაფიქრებული. იდეის ავტორი, ალბათ, ვარაუდობდა: **განვლილი წლების ანალიზი დაგვეხმარება უკეთ გავიგოთ აწმყო და სწორად განვჭვრიტოთ ქვეყნის მომავალიც.**

მახსენდება ამ მხრივ, „**ივერია**“: როგორც კი ქვეყნის წინაშე რაიმე მნიშვნელოვანი პრობლემა დგებოდა, რედაქცია ცდილობდა, დისკუსიის საგნად ექცია იგი. აქ მაგალითისთვის შეიძლება გავიხსენოთ დისკუსია აგრარულ პრობლემებზე. სწორედ ამ დისკუსიაში იშვა ილია ჭავჭავაძის „**საერთო ნიადაგის**“ თეორია, როგორც კაპიტალიზმის გზაზე შემდგარი საქართველოს ალტერნატივა. სხვანაირად დისკუსიას ილიასთვის აზრი ეკარგებოდა, რამეთუ კონკრეტული შედეგის გარეშე – „**მეცნიერება უძმის ჭკვის უძმი ვარჯიშია.**“

რა შეიძლება იყოს დღევანდელი საქართველოსთვის დისკუსიის შედეგი? – თითქმის იგივე, რაც მაშინ: „**ქართული კაპიტალიზმის და ქართული წეს-წყობის**“ პრინციპების მოძიება და დადგენა. კაპიტალიზმი ხომ სწორედ მაშინ დგამდა თავის პირველ ნაბიჯებს ჩვენთან...

ყველაზე დიდი ნაკლი, რომელიც ახლავს თან განვლილი წლების სახელმწიფოებრივ მშენებლობას, ჩვენი ფიქრით, ეს სტრატეგიული ხედვის არქონაა. ილია ჭავჭავაძე რომ მოვიშველოთ, „**არ ვიცით – რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ – რანი ვართ, ვერ გამოგვისახია – რანი ვიქნებით!**“. ამას ილია წერდა 1897 წელს და დღესაც ჩვენ წინაშე იგივე პრობლემა დგას. იგი უმალ მიხვდა კაპიტალიზმის არსს, ყველაზე ღრმად ჩასწვდა მის ბუნებას და საბედისწერო როლს ქართველობისთვის, რამეთუ – „**უფულო ერი ფულიანთა საძოვარია, მათი საცხოვრისია.**“ მაგრამ რა გვიხსნის, რა გადაგვარჩენს ამჯერად?

აი, კითხვა, რომელზე პასუხსაც გვაძლევს „საერთო ნიადაგის“ თეორია. მას ივანე ჯავახიშვილი „**საძართველოს მომავლის გზისგამკვალავს**“ უწოდებს. სიმბოლურია ამ მხრივ იაკობ გოგებაშვილის სიტყვებიც: „**იძნებ არც ერთ ერს მომავალში არ დასჭირდეს თავისი დიდი ერისკაცი ისე, როგორც ილია ჭავჭავაძე ქართველ ერს.**“ პირველად ვაჟა-ფშაველამ უწოდა ილიას – „**ჩვენი ეროვნული იდეოლოგი.**“

და „საერთო ნიადაგის“ თეორიის მთავარი დედაზრიც ჩვენთვის მისი **ეროვნულ-სახელმწიფოებრივ იდეოლოგიად გადაძცევაა.** ამაზე დიდი ფუნქცია და მოვალეობა ერის ინტელექტუალურ ძალებს არ გააჩნიათ. სხვანაირად ერსაც და მის მწარმოებელ ძალებსაც მომავალი არა აქვს. ნებისმიერი კამათი და დისკუსიაც აქეთკენ უნდა იქნას მიმართული, რაც, სამწუხაროდ, ხშირად გვავიწყდება ყველას...

სახელმწიფოს, როგორც ერის პოლიტიკურ ორგანიზაციას, მკვიდრ საფუძველს ეკონომიკა უქმნის. ეროვნული ეკონომიკის გარეშე არც ეროვნული სახელმწიფო არსებობს. მარტო ყიდვა-გაყიდვით ვერც კაცი და ვერც ერი თავს დიდხანს ვერ გაიტანს. მთავარი წარმოებაა, ხალხისა და ქვეყნის პოტენციურ შესაძლებლობათა მაქსიმალური ეფექტურობით ამოქმედებაა. ილიას ძალაც ის არის, რომ იგი განსაზღვრავს არა მარტო საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას, არამედ მისი განხორციელების ტაქტიკასაც:

„**რაც არ უნდა მოეძალოს ინდუსტრია საძართველოს, იგი მაინც მიწისა და გუთნის ქვეყნად უნდა დარჩეს!**“ ამ ხატოვან გამოთქმას ილია ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის თავის პოლიტიკურ იდეალსაც უკავშირებს: „**მიწასა და გუთანსა და სამეფო გვირგვინზე დაფუძნებული საძართველო.**“ დისკუსიის საგანიც ეს უნდა გახდეს – როგორ შევქმნათ ეროვნული ეკონომიკა და მასთან ერთად, ეროვნული სახელმწიფო. დღეს ხომ ჩვენ არც ერთი გვაქვს და არც მეორე.

გვქონდა კი ეს ოდესმე?...

აი, კითხვა, რომელზეც ღირს ფიქრი და განსჯა-კამათი: თუ გვქონდა, მაშ, შეგვიძლია კიდევ გვქონდეს მისი ძიებისა და პოვნის იმედი, თუ არა და რას ჰპოვებ იმას, რაც არასოდეს არა გვქონია!...

აქაც გვჭირდება ისტორია, „ვითარცა მასწავლებელი“. მაგრამ ისტორია მაშინ არის და იმათთვის არის მასწავლებელი, ვინც მას უსმენს. ჩვენ კი საკუთარის გარდა, ყველას ისტორიას ვუსმენთ და ვუჯერებთ, შესანატრი ერთგულებითა და წამბაძველობით ვიღებთ სხვათა და სხვათა გამოცდილებას, გარდა საკუთარისა. ამიტომ უწოდებდა „უცხო ბაგის მონებს“ მაშინდელ კოსმოპოლიტ-გლობალისტ მესამედასელებს, თუთიყუშივით რომ ბაძავდნენ სხვებს...

XIX-XX საუკუნეებში ქართველებს ორი დიდი ერისკაცი გვყავდა – ილია ჭავჭავაძე და ივანე ჯავახიშვილი. ორი დიდი საგანძური დაგვიტოვეს მათ – „საერთო ნიადაგის“ თეორია და „ქართველი ერის ისტორია.“ ივანე ჯავახიშვილის თორმეტტომეულიდან მეორეში, რომელიც მთლიანად ჩვენი ისტორიის „ოქროვან ხანას“ ეძღვნება, საოცარი ფაქტია აღბეჭდილი „ქართლის ცხოვრების“ თუ სხვა მრავალი უცხოური წყაროებით დადასტურებული: **საძართველო არა მარტო სამხედრო-პოლიტიკურად, არამედ ეკონომიკურადაც უძლიერესი სახელმწიფო იყო მაშინ. დღეს ვინ დაიჯერებს იმას, რომ ეროვნული შეგნებით** ... **ეროვნული ბიბლიოთეკა**

მოსავლით ჩვენი ძვეყანა ორჯერ აღემატებოდა საფრანგეთს!...

დღესაც გვჭირდება ახალი რუის-ურბნისის „კრება“ და მისი „ძეგლისდება“, ახალი „ისნის კარავი“ თუ „ერთა საბჭო“, რათა კვლავ „ვიყუდნოთ ჩვენი თავი ჩვენად.“ გვჭირდება დღესაც „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“, „ქართული სამართლის ისტორია“, „ცხოვრება და კანონი“, „კერძო და სათემო მოწათმფლობელობა“, „ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობა“... „კომლისა“ და „ხოდაბუნების“ ძველი სამეურნეო ტრადიციების აღორძინება – გათანამედროვეობა ეპოქის შესატყვისი ფორმებით, როგორც ეს ებრაელებმა ქნეს „კიბუცის“ მიმართ. ილიას იდეალიც ხომ კორპორაციული „**ქართული სახალხო კაპიტალიზმი**“ იყო, როგორც „წარხდენილი ქართველთა სახელისა და ქართული წეს-წყობის“ სამომავლო ალტერნატივა...

ერი რომ დაწყევლო – „გადაშენდიო“, თავის ფესვებს უნდა მოსწყვიტო, თავის წარსულ ისტორიას და მემკვიდრეობას. პლუს ამას, „საერთო ნიადაგზე დგომა და ერთნებობა-თანადგომა“ დაკარგვინო. აკი ასე ჩემოგვწყევლა თავის დროზე შაჰ-აბასმაც – „**ღმერთო, ძართველებს ერთ პირს ნუ მისცემ!**“... ჩვენც შესანატრი ერთგულებით ვასრულებთ ამას ყველა ეპოქაში და ყველა ჟამს. „ძნელბედობის“ ეს თითქმის 800-წლიანი ხანაც სწორედ ამან ასაზრდოვა და ასაზრდოვებს დღესაც... ჩვენს ეროვნულ ხასიათში ხომ მკვიდრად ჩაბუდებულა – „რატომ ის და არა მე!“, ანდა არჩილ მეფისეული – „უჩემოდ ვინ იმღერეთა“ სინდრომი. „საერთო ნიადაგის“ თეორია სწორედ იმის საპირწონედ არის ჩაფიქრებული, რომ კვლავ შევძლოთ „**ერთნებობითა და თანადგომით**“ ქვეყნის მართვა...

იგი 30-მდე სამართლებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრინციპს მოიცავს. პატრიარქმა ილიას საიუბილეო 2007 წელი გამოაცხადა როგორც – „**ილია ჭავჭავაძის წელი**“, იქნებ ახლა მაინც შევძლოთ ილია მართლის მემკვიდრეობის გათავისება და საქმედ ქცევა. ამითი დისკუსიაც მოიგებს, ხალხიც და ქვეყანაც...

მხოლოდ ამ გზით შეძლებს საქართველო დაბრუნებას თავისი მომავალი ისტორიის „ოქროვან ხანასთან“... მაშინ დასრულდება ასე უსაშველოდ გაწელილი „ძნელბედობის ხანაც.“ და ნუთუ ვაჟას მთებივით უნდა ვიდგეთ და „**უსასრულო ლოდინით**“ ველოდოთ ამას?..

იქნებ დადგა დრო აღვასრულოთ ივანე ჯავახიშვილის, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილის სიტყვები და ილია მართლის მართალი სიტყვა და მართალი საქმე ერისა და ქვეყნის კუთვნილებად ვაქციოთ?

მაგრამ მკითხველს, ალბათ, გაუჩნდება ბუნებრივი კითხვა: რა არის კონკრეტულად „საერთო ნიადაგის“ თეორიის ის პრინციპები, რომელთაც ძალუძთ, კვლავ დაგვაუფლონ იმ საოცნებო დავითის, თამარის, რუსთაველის „ოქროვან ხანას?“

მოკლედ ასე შეიძლება გადმოვცეთ ამ თეორიის ზოგად-სოციოლოგიური პრინციპები:

I

„ცხოვრების თვითრჯულობა“

ილიასთვის ყველაფერს ამქვეყნად ერთი საწყისი აქვს. მერე და მერე ხდება ხოლმე მისი განფენა დროსა და სივრცეში. ეს ეხება ერსაც და ეროვნულ ცხოვრებასაც. იგი ერის ფსიქოგენეტიკური ფესვებიდან იღებს სათავეს. ყველაფერს ამას ილია „ეროვნული ცხოვრების თვითრჯულობას“ უწოდებს, დღევანდელი ტერმინოლოგიით – „ბუნებრივ-ისტორიულ განვითარებას.“

ეს განსაზღვრავს ერის ისტორიას და მის ბედ-იღბალს.

„ცხოვრება თვითრჯულია – იგი არ გამოიჭრება კაცისგან მოგონილს რიკრიკაზედ“ – წერდა „საქართველოს მოამბის“ პირველსავე სარედაქციო წერილში. ამიტომაც ღრმად სწამდა: „**ახალი საძართველო მხოლოდ ძველიდგან შეიძლება აღმოვშობოთ მკვიდრად.**“ ეს მიაჩნდა მას მომავალი ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის „ბალავრის ქვად.“ პოეტურადაც გამოხატა ეს დიდი იდეა პოემაში – „მეფე დიმიტრი თავდადებული:“

„**რაც ვყოფილვართ,**
ის აღარ ვართ,
რაც ვართ, ის ნულარ ვიქნებით.
ღმერთი გვიხსნის,
თუ შვილთ მაინც,
გზად და ხიდად გავედებით!“

ილია ღრმად ჩასწვდა ისტორიის, როგორც ღვთის ნების გამოვლენის, იმ საიდუმლოს, რომ დრო-ჟამის ამ სამი განზომილების ორგანული მთლიანობის გააზრება-გაუთავისებლად ერს მომავალი არა აქვს. აქედან გამომდინარე, საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების მთავარი მიზანი, პოლიტიკური გეზი და ორიენტირი „ძნელბედობით წარხდენილი ქართველთა სახელისა და ქართული წეს-წყობის აღდგენა“ უნდა გახდეს.

II

ქართული სოციალური სახელმწიფო: „დაპირისპირებულ ძალთა ბედნიერი მორიგება“

ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის სწორი პოლიტიკური, სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური პრინციპების მოძიება-დადგენა და ცხოვრებაში დანერგვა შეუძლებელია რაღაც ერთჯერადი აქტით მოხდეს. ილიას ღრმა ანალიტიკური აზროვნება ჩასწვდა საზოგადოებრივი განვითარების იმ საიდუმლოებასაც, რომ იგი მეტად წინააღმდეგობრივი, სოციალური და პოლიტიკური კატაკლიზმებით აღსავსე ხანგრძლივი ისტორიული პროცესია. ეს, მით უმეტეს, რევოლუციური რყევებით მდიდარ მის ეპოქაში, რა-

ანალიზის ცდა

ჩვენი დისკუსიისთვის თვალყურის მადევნებელ მკითხველს მოეხსენება, რომ წინასადისკუსიო პაექრობაში ჩაბმული ერთ-ერთი მკითხველი სამართლიან საყვედურს გამოთქვამდა როგორც სამეცნიერო საზოგადოების, ისე ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენელთა მიმართ. ისინი აშკარად ნიჰილიზმსა და გულგრილობას იჩენენ ბევრი იმ ფრიად საშური საკითხის მიმართ, რომელთა დროული შესწავლა, ანალიზი და გადაწყვეტა დიდად წაადგებოდათ ახალი ცხოვრების უძნელეს გზაზე ხელების უსუსური ცეცებით, თანაც სხვათა და სხვათა საეჭვო კარნახით, მობორძიკე ქვეყანასა და ხალხს. სათაურიც საოცარი ჰქონდა იმ ზემოხსენებული მკითხველის წერილს – საჭირბოროტო და დროული: „ნუთუ საქართველოში მოაზროვნე ხალხი გაწყდა?!“ რაც ფრიად და ფრიად საწუხარ არს. რა ვქნათ, როგორ გავართვათ თავი ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელს, რომელმაც ათასი წყევლაკრულვიანი საკითხავი გაგვიჩინა? სწორედ ერთ-ერთი ასეთი კითხვისთვის პასუხის გაცემას ცდილობს ჩვენი დისკუსიის დღევანდელი მონაწილე, რომლის წერილიც უთუოდ აფართოებს დისკუსიის ჩარჩოებს.

გიწვევთ სამშობლოს ბედზე მოფიქრალ ყველა მოაზროვნე ადამიანს

ჩვენი უახლოესი უტყუარი წარსული: წლები, მოვლენები, ადამიანები

დისკუსიის თემაა: „საქართველო 1985–2003 წლებში“

ეროვნული ბიბლიოთეკა

დისკუსია

● დაე, „ილიაწმინდას“ სიმბოლიკა საქართველოს „თანამდევ უკვდავ სულთან“ ჩვენი გამთლიანების ნიშანსვეტი გახდეს...



◎ რა გზა გამოვიარეთ

„საქართველოს...“

ახალი ქართული სახელმწიფოებრიობა

მაც თვითონ მაშინდელი ევროპაც დიდი სისხლიანი ტრაგედიების სარბიელად აქცია. ამიტომ უკიჟინებდა მესამედასელებს:

„ჩვენს ისტორიაში არის ფესვნი ერთობისა, რომელთა ზედა შეიძლება ამოვიდეს სიკეთე ერთობისა და ყველასთვის სახეიროდ გაიშალოს. ამას უნდა დავტრფოდეთ და შევხაროდეთ და არა ვთაკილობდეთ და ვმტრობდეთ... ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ ყველა ეგრე ძმურად ცხოვრობს. არა, ძალიან ბევრგან სუფევს განყოფა და განხეთქილება..., ხოლო ამისი მიზეზი თვითონ წოდებათა წყობა, თვისება და მიდრეკილება კი არაა... ამისი მიზეზი იგივეა, რაც თითოეულ კაცთა შორის: ავი გული, ხარბი თვალი, გრძელი ხელი და ნამუსის ქუდის ახდა.“

„მოლონიერდება, სულს მოითქვამს, ქართული მიწის ბარაძასაც დიდი ავალა მიეცემა.“

რა ორგანიზაციული ფორმით შეიძლება განხორციელდეს ეს? „სახალხო კაპიტალიზმით“ და სასოფლო-სამეურნეო კორპორაციათა ერთიანი ეროვნული სისტემის შექმნით, რომელიც თავის მხრივ უნდა დაეფუძნოს „კომლისა“ და „ხოდაბუნების“ ძველი სამეურნეო ტრადიციების აღორძინებას. ასე იყო ისტორიულად, ასე უნდა იყოს აწმყოსა და მომავალშიც. ილია მათ ებრაულ „კიბუცებს“ ადარებდა და მტკიცედ სწამდა, რომ მათ შეუძლიათ — „დიდი ეკონომიკური სასწაული მოახდინონ ჩვენს ქვეყანაში.“ ამასვე უკავშირდეთული წესწყობის“ აღდგენა-შენარჩუნება-განმტკიცებას და შემდგომ სრულყოფა-გავითარებას. ეს იქნება გლობალიზაციისადმი ჩვენი ყველაზე ეფექტური ალტერნატივაც...

სოფელი — თემი — მხარე, ასეთი იყო ოდითგან ქართული სახელმწიფოს ტერიტორიალურ-ადმინისტრაციული დარეგიონება.

ამერ-იმერის უძველესი ქართული სახელმწიფოებიც — ე.წ. „ხევების ქვეყნები,“ სოფლების, თემების, მხარეების გაერთიანებანი იყვნენ უპირველესად. ჩვენი ეროვნული ხასიათი, ტრადიციები და წეს-ჩვეულებანი ორგანულად არის დაკავშირებული ყოველივე ამასთან და ქართულმა პოლიტიკამ უნდა გაითავისოს ყოველივე ეს. სოფელი — თემი — მხარე და მათი თვითმმართველობა, აი, რა უნდა იქცეს ქართული სახელმწიფოს „ბალავრის ქვად.“ ილია არაერთგან უსვამს ამას ხაზს და ამიტომაც ეს მისი „საერთო ნიადაგის“ თეორიის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია.

V

ილია და კავკასია: „მრავალგანზომილებიანი ქართული პოლიტიკა“

ილია ჩვენზე არანაკლები „პროდასავლური ორიენტაციის“ მოაზროვნე და მოღვაწე კაცი იყო. ამიტომ ასხამდა ქება-დიდებას დოდაშვილის და სხვა შეთქმულთა „ევროპეიზმს.“ მაგრამ ამასთან, დასავლეთის გარდა იგი არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა შავი, კასპიის ზღვების და ახლო აღმოსავლეთის ჩვენს უშუალო სამეზობლო რეგიონებს, განსაკუთრებით კი კავკასიას. კავკასიის ხალხთა ერთობის იდეა „საერთო ნიადაგის“ თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია. ამ იდეას უძღვნა მან დრამა — „ქართვლის დედა“, რომელიც შამილის აჯანყების გამოძახილია და ქართველებს და დანარჩენ კავკასიელებს მოუწოდებს „ერთნებობა-თანადგომა“ დაუპირისპირონ „გაყავი და იბატონეს“ იმპერიულ პოლიტიკას. კარგი იქნება, თუ მას ყველა კავკასიურ ენაზე ვთარგმნით და გავასცნიერებთ.

ილია „მრავალგანზომილებიანი ქართული საგარეო პოლიტიკის“ ტრადიციების მომხრე და გამგრძელებელია, რომელიც ასე დამახასიათებელია ქართული სახელმწიფოს ისტორიული განვითარებისთვის. კარგია დასავლეთი, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს აღმოსავლეთიც, სამხრეთი და ჩრდილოეთიც. საქართველოს ბედი ჯერ აქ წყდება და მერე სხვაგან. ეს ეხება პოლიტიკასაც და ეროვნული ცხოვრების სხვა ნებისმიერ დარგს, ეკონომიკით დაწყებული და ეკოლოგიით დამთავრებული...

მკითხველმა იქნებ იფიქროს: ეს ყველაფერი ხომ მაინც ზოგადია, დღეს ილიას საიუბილეოდ რას ვთავაზობთ კონკრეტულს ხალხს და ქვეყანას?

საბედნიეროდ, ამ მხრივაც ბევრ მასალას გვაძლევს ილია. ყველამ იცის, რომ ილიას ოთარაანთ ქვრივივით — „ბევრ ლაპარაკს ცოტა საქმე ერჩია“ და ამ მხრივ, საქმით მეტყველი სიტყვაა ჩვენთვის. მრავალთაგან მოვიყვანთ ორიოდე მაგალითს:

როდესაც ბაქოს ნავთობი აღმოჩნდა, ილია უმალ მიხვდა მის სტრატეგიულ მნიშვნელობას საქართველოსთვის. თბილისი-ბაქოს სარკინიგზო ხაზის მშენებლობისას, მთავრობას ლამის მუხლისჩოქვით ეხვეწებოდა — „რკინიგზას კახეთს ნუ აუშორებთო“. მაგრამ სომხურმა ლობბმა რუსეთს იგი სამხრეთის საზღვრებისკენ გააყვანინა...

დღეს, როცა რკინიგზა აზერბაიჯანიდანაც და საქართველოს მხრიდანაც ალაზნის ველამდეა მოსული, იქნებ დადგეს საკითხი მათი შეერთებისა. ამით ილიას იდეა, რომ — „ამ მდიდარ მხარეს და მის შრომისმოყვარე ხალხს გზა გაეხსნას კასპიისპირეთისა და შუა აზიაციმბირისკენ“, საძმედ იძცევა.

კაპიტალიზმმა ტურიზმი და ტურისტული ინდუსტრია ეკონომიკის მნიშვნელოვან სფეროდ აქცია. ილია ხედავდა მის დიდ პერსპექტივებს ქვეყნისთვის. კომუნიკაციების განვითარებამ დედამიწა თითქოს დაავიწროვა... „მსოფლიომ ფეხი აიდგა და ამ ფეხის ხმას გვინდა, არ გვინდა, ქართველობაც უნდა ავყვეთ“. მთავარი აქაც ისაა, რომ ამ გლობალისტურ ფერიცვალებას არ გადავყვეთ...

ამ მხრივ, ილია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სასურსათო ინდუსტრიის განვითარებას. ეს მას ეროვნული ეკონომიკის განვითარების დიდ რეზერვად მიაჩნდა. მას ჰქონდა იდეა, რომ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის მსგავსი დიდი ქალაქების შემოგარენში შექმნილიყო „სასურსათო სარტყელი“ ხოდაბუნური კორპორაციების გზით.

რამდენიმე ასეთი კორპორაცია მისი ხელშეწყობით შეიქმნა კიდეც მუხრანში (აღსანიშნავია, რომ სწორედ „მუხრანის ხოდაბუნი“ არის დაფიქსირებული დავით აღმაშენებლის „ანდერძში“), წინამძღვრიანთ კარში, სართიჭალაში... ასეთი „სასურსათო სარტყელით“ გლეხობასაც და საქალაქო ცენტრებსაც დიდი შემოსავლები მიეცემათ ტურიზმიდანაც და საერთოდაც. ჩვენი ქალაქების და მათი სტუმრების სურსათით მომარაგება ერის მწარმოებელი ძალების განვითარების საშუალებად უნდა ვაქციოთ...

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ინტელიგენციის ერთი ნაწილის ინიციატივით 1987 წელს ილიას წმინდანად გამოცხადების აღსანიშნავად ივრის-პირეთში, „დალის წყალსაცავთან“ საფუძველი ჩაეყარა ხოდაბუნურ დასახლებას — „ილიაწმინდა“. აშენდა რამდენიმე შენობა-ნაგებობაც, მაგრამ ეს იდეა დღემდე იდეად დარჩა. იქნებ მასაც ამ საიუბილეო წელს ახალი სიცოცხლე მივცეთ?.

დაე, „ილიაწმინდას“ სიმბოლიკა საქართველოს „თანამდევ უკვდავ სულთან“ ჩვენი გამთლიანების ნიშანსვეტი გახდეს...

ელბერდ ბატიაშვილი

III

„ქართული სოფელი და ქართველი გლეხი - ჩვენი ეროვნული იმედების სული და გული“

მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ამ შემთხვევაშიც „საერთო ნიადაგზე დგომა და ერთნებობა-თანადგომა?“. ილიასთვის აქსიომაა: ქვეყნის, მისი ეროვნული ეკონომიკის და ცხოვრების ქართული წესის ბალავარი ქართული სოფელი და ქართველი გლეხია. ერის ინტელექტუალური ძალების ვალია სწორი გზა-კვალი მისცეს მათ განვითარებას. ეს „ანტიინდუსტრიული პოზიცია“ არაა, როგორც ბრალს სდებდნენ ილიას მესამედასელები. ვინ, თუ არა ილიამ, იცოდა ფასი და ძალა ინდუსტრიისა, მაგრამ მრეწველობის რომელი დარგების განვითარება უნდა გახდეს ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკისთვის პრიორიტეტული? — სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, გადამმუშავებელი, სამთო და მცირე მექანიზაციის და სასურსათო მრეწველობის ის დარგები, რომელთა სანედლეულო ბაზასაც საქართველოს მთისა და ბარის რეგიონები უზრუნველყოფენ. ამით სოფელი და გლეხობა აქტიურად ჩაერთვება როგორც შიდა, ისე მსოფლიო ბაზრის ათვისებაში და სახელმწიფოც იმიტომ არსებობს, სოციალურ-ეკონომიკური პროცესების წარმართვაში თავისი რეგულატორული როლით რომ უზრუნველყოს ამის აღკვეთა და ამით — „დაპირისპირებულ ძალთა ბედნიერი მორიგება ერთმანეთის დაუმონებლად და შეუგღალავად.“

ილიას სიამაყეს იწვევს ის, რომ — „რუსეთსაც რომ თავი გავანებოთ, თვით ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებითაც კი, კლასების ერთმანეთთან სისხლიანი შეჯახება საქართველოში არა ყოფილა.“ მას ეს ქართული სახელმწიფოს, მისი მმართველი ფენების დიდი სოციალური პასუხისმგებლობის გამოვლენად მიაჩნდა. ჩვენი ისტორიის ამ მემკვიდრეობის შენარჩუნება მიაჩნდა მას ქვეყნის პოლიტიკური ელიტის მოვალეობად.

IV

სახელმწიფო წყობა და ტერიტორიალურ-ადმინისტრაციული მოწყობა

ილიასთვის მომავალი ქართული სახელმწიფოს იდეალი კონსტიტუციურ მონარქიაზე დაფუძნებული საპარლამენტო მმართველობაა. ინგლისი ამ მხრივ სანიმუშო ქვეყანა იყო მისთვის. ისე როგორც ეროვნულ ეკონომიკას, იგი ამას ისტორიულ ტრადიციებს უკავშირებდა.

ივანე ჯავახიშვილი ილიას კვალდაკვალ სიამაყით აღნიშნავდა, რომ მეფის ხელისუფლების შეზღუდვა და წარმოება „საგლეხო ბანკების“ შექმნის მისი იდეაც...

დისკუსიას უძღვებიან ისტორიკოსი ვახტანგ გურული, პოლიტოლოგი მალხაზ მაცაბერიძე და ჟურნალისტი გურამ გოგიაშვილი.

უცხოური პრესა

● სტალინის ვაჟი, წითელი არმიის უფროსი ლეიტენანტი იაკობ ჯუღაშვილი გერმანელთა ტყვეობაში არ მოხვედრილა. ყველა საფუძველი მაქვს ვივარაუდო, რომ მამაჩემი დაიღუპა 1941 წლის ივლისის შუა რიცხვებში გერმანელებთან უთანასწორო ბრძოლის დროს

◎ ჩვენებურებზე

თავის წიგნში „ბელადის ოჯახის საიდუმლო“ გალინა ჯუღაშვილი-სტალინა ამტკიცებს, რომ იაკობ ჯუღაშვილად ბერლინი ასაღებდა აბვერის აგენტ-ორეულს. გთავაზობთ ნაწყვეტებს მისი წიგნიდან:

სტალინის ვაჟი, წითელი არმიის უფროსი ლეიტენანტი იაკობ ჯუღაშვილი გერმანელთა ტყვეობაში არ მოხვედრილა. ყველა საფუძველი მაქვს ვივარაუდო, რომ მამაჩემი დაიღუპა 1941 წლის ივლისის შუა რიცხვებში გერმანელებთან უთანასწორო ბრძოლის დროს. ისტორიის სახელმძღვანელოებში შესული სტალინის ფრაზა: „მე ჯარისკაცს ფელდმარშალზე არ ვცვლი!“ – არის ფილმ „განთავისუფლების“ სცენარისტის ფანტაზიის ნაყოფი. ჰიტლერს არასდროს შეუთავაზებია სტალინისთვის ფელდმარშალი პაულიუსის გაცვალა იაკობზე. და ამას ვერც გააკეთებდა, რადგან იაკობ ჯუღაშვილად ბერლინი ასაღებდა სულ სხვა კაცს: აბვერელ ორეულ-აგენტს.

ჯერ კიდევ ბავშვობისას დედამ მითხრა, რომ მამაჩემი უგზოუკვლოდ დაიკარგა. მოგვიანებით მან განმიმარტა: მამა ტყვედ ჩავარდა და ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპა. ამის შემდეგ გამოჩნდა უჟინსკი (კაცი, რომელიც ვითომდა იაკობ ჯუღაშვილთან ერთად იყო ფაშისტთა ტყვეობაში).

გადიოდა დრო. დავასრულე მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი და ჩავაბარე მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურაში. იმავე წელს მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა დედაჩემი. მისი გარდაცვალებიდან მცირე ხნის შემდეგ მიჩვენეს უცხოური ჟურნალი, რომელშიც დაბეჭდილი იყო ჯარისკაცის მაზარაში ჩაცმული კაცის ფოტო, ღობის მავთულხლართზე რომ იყო ჩამოკიდებული. მას სახეს უფარავდა მუქი ჩრდილი. ფოტოსურათზე წარწერას თარგმნა არ სჭირდებოდა: იაკობ სტალინი. ეს ჩემთვის შოკისმომგვრელი იყო. ჯერ გავოგნდი, შემდეგ კი ტირილი ამივარდა. მაგრამ, იმავე საღამოს თითქოს, ვიღაცამ მიკარნახაო, ასეთი აზრი მომივიდა თავში: ფოტოზე აღბეჭდილ ადამიანს სახე არ უჩანდა. არადა, ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, სწორედ მისი სახე უნდა ყოფილიყო სურათზე მკაფიოდ აღბეჭდილი, რათა არავის დაბადებოდა ეჭვი. აქ კი ყველაფერი პირიქით იყო. რატომ?

ორი წლის შემდეგ გამოჩნდა იონ ანდრონოვის დიდი სტატია, რომელიც ეძღვნებოდა მამაჩემს – ეს იყო დაწვრილებითი მონათხრობი ზაქსენჰაუზენის ბანაკში მისი ყოფნის შესახებ.

ცხოვრება კვლავ ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდა: ვმუშაობდი მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში, მყავდა ქმარი, შვილი. და ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ კვლავ გამოჩნდებოდა უჟინსკი... იგი სიტყვა-სიტყვით იმეორებდა თავის წინანდელ ნაამბობს სტალინის ვაჟთან შეხვედრის შესახებ. იხსენებდა, თუ როგორ მუშაობდნენ ბანაკის სახელოსნოში, სადაც პატიმრები ძვლისგან კვეთდნენ ჭადრაკის ფიგურებს, და სადაც იაკობი თურმე ისე დაოსტატებულა, რომ გერმანელი ოფიცრები რიგშიც კი მდგარან სტალინის ვაჟის მიერ დამზადებული „სუვენირის“ მიღების მოლოდინში (რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მამაჩემი არასდროს ყოფილა გატაცებული ხეზე ან ძვალზე კვეთით და ძალზე გასაკვირია, ასე მალე როგორ აითვისა ეს საკმაოდ რთული ხელობა?).

როცა ბანაკში გავრცელდა ტიფის ეპიდემია, იაკობი გადაუყვანიათ უჟინსკის ბარაკში, სადაც მათ, თურმე, ერთ საწოლზე ეძინათ და ისე დამეგობრებულან, რომ ერთმანეთს ყველა საიდუმლოს უზიარებდნენ. მაინც, რას? უჟინსკი დიდი გაჭირვებით იხსენებს იაკობის ნაამბობს ავტომანქანაზე: „იაკობი ოცნებობდა ომის დამთავრების შემდეგ მანქანის ყიდვაზე...“ (რად უნდა იოცნებოს ადამიანმა მანქანაზე, როცა ის უკვე ჰყავს? იაკობი თავის საყვარელ ავტომობილს „გალკას“ უწოდებდა, და მეც, ალბათ, ამ მანქანის ემხით დამარქვეს გალინა).

უჟინსკის მამაჩემთან რომ არ ჰქონია ურთიერთობა, ამას ადვილად მივხვდი. ამ ორმა ადამიანმა მთელი თვე გაატარა ერთ ჭერქვეშ, მაგრამ რაიმე მნიშვნელოვანი უჟინსკიმ ვერ გაიხსენა. მე მას ვკითხე: „თქვენს ოჯახებზე არაფერს იხსენებდით?“ „ვიხსენებდით“, – მიპასუხა მან. „კერძოდ, რას?“ – „ვიხსენებდით ყოველივე კარგს!“ – ისევ ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლა.

...მაგრამ ჩემი ეჭვი ყველაზე მეტად განამტკიცა ემილ ზეკლის, უნტეროფიცრის ჩვენებამ, რომელიც იმავე ჰამელბურგის ბანაკის დაცვაში მსახურობდა („ნედელია“, №12, 1988 წ.). „იაკობ სტალინი მოათავსეს ცალკე № 6 ბარაკში. იგი იქ ვერც კითხვას და ვერც წერას ვერ ბედავდა. დილის 7 საათზე მიმქონდა მისთვის ყავა, შემდეგ კი ნახევარი საათით გამომყავდა ეზოში, რომელიც ეკლიანი მავთულხლართით იყო შემოღობილი. ღამით კი მისი საკანი კარის მძიმე რკინის გისოსებით იკეტებოდა, გარდა ამისა, კიდევ ორ კლიტესაც ადებდნენ“. მაინც, რამდენი „სტალინის ვაჟი“ ჰყავდათ იმ ბანაკში? ალბათ, ორი. ერთს ეძინა უჟინსკისთან ერთად, მეორე კი მკაცრად იზოლირებულ საკანში იყო გამოკეტილი. რომელია სიმართლე და რომელი – მონაგონი?

მსმენია მრავალი ლეგენდა, რომლებიც დასავლეთიდან გავრცელდა (ფრანგული, იტალიური, შვეიცარული, იუგოსლავური ვერსიები). ამ ლეგენდათა თანახმად, სტალინის ვაჟმა რაღაც სასწაულის წყალობით დააღწია თავი გერმანელთა ტყვეობას – ზოგი ამტკიცებს, რომ ამაში მას პარტიზანები დაეხმარნენ, ზოგიც აცხადებს, რომ იგი დაიხსნეს ლამაზმანმა მზვერავმა ქალებმა.

ხშირად მეკითხებოდნენ, ჩემი ძმა ხომ არ არის სადამ ჰუსეინი. რადგან „ერაყული“ ვერსიით, ჰიტლერს სტალინის ვაჟი ბაღდადს გაუგზავნია, სადაც იგი დაოჯახებულა კიდეც. მაგრამ, სამწუხაროდ, სადამ ჰუსეინი ჩემზე რამდენიმე წლით უფროსია, იგი ჯერ კიდევ ომამდე დაიბადა. აი, ასე შემიძლია გავუცრუო იმედები პიკანტური ისტორიების მოყვარულებს!

...იაკობ ჯუღაშვილის დაკითხვის ოქმში, რომელიც 1941 წლის 18 ივლისითაა დათარიღებული, დაფიქსირებულია მისი მონათხრობი იმის თაობაზე, თუ როგორ მოხვდა ტყვეობაში: „...ჩვენი მეომრები უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოდნენ... მათ მომმართეს: „მეთაურო! გაგვიძეხი შეტევაზე!“ ჩვენ მტერს შევუტიეთ. დაიწყო ძლიერი დაბომბვა, რასაც მტრის ტყვიების „წვიმა“ მოჰყვა... მე მარტო დავრჩი... ვხედავ, რომ გერმანელებმა ალყა შემომარტყეს... ალბათ, თავს მოვიკლავდი, დროზე რომ შემეტყო ჩვენიანებისგან მთლიანად იზოლირებული რომ დავრჩი“.

გალინა ჯუღაშვილი-სტალინა,

მამაჩემი არ ყოფილა

აი, მომდევნო დღის, 19 ივლისის ოქმი. მასში იგივე მოვლენები და იმავე „სტალინის ვაჟის“ სიტყვები, რატომღაც, სულ სხვანაირადაა დაფიქსირებული: „... ჯარისკაცები პანიკამ მოიცვა, ისინი გარბიან...“ ჯარისკაცებმა დაყარეს იარაღი, სამოქალაქო მოსახლეობას არ სურს შეიკედლოს სამხედრო ფორმიანი წითელარმიელები და იაკობ სტალინიც იძულებულია დანებდეს მტერს...

კიდევ უფრო დიდ გაკვირვებას იწვევს „სტალინის ვაჟის“ პასუხი მარტივ კითხვაზე – და ეს დაფიქსირებულია მორიგ ოქმში, – სად დაიბადა. იგი ასახელებს ქალაქ ბაქოს! მაგრამ მამაჩემის პასპორტში, რომელსაც ახლაც ვინახავ, წერია, რომ მისი დაბადების ადგილია სოფელი ბაძი, საქართველო. ალბათ, ძნელია კაცს ერთმანეთში აერიოს ქართული სოფელი და აზერბაიჯანის დედაქალაქი. ყოველივე ეს მაფიქრებინებს, რომ „ლეგენდა“ ვიღაცამ სახელდახელოდ შეთითხნა.

გერმანელთა საკოცენტრაციო ბანაკში „სტალინის ვაჟის“ დაღუპვას კიდევ უფრო მეტად ეწინააღმდეგება სხვა ვერსია. იონ ანდრონოვმა თავის მასალებზე დაფუძნებით გამოიტანა დასკვნა, რომ იაკობ ჯუღაშვილი მოკლა გუშაგმა, როცა იგი ბანაკიდან გაქცევას ცდილობდა. ჟურნალისტები ს. აპტი და ტ. დრამბიანი კი სულ სხვას ამტკიცებენ: იაკობ ჯუღაშვილმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, როცა შეგნებულად შეეხო მავთულხლართს, რომელშიც მაღალი ძაბვის დენი გადიოდა. ყოველივე ეს, ჟურნალისტების აზრით, „ხანგრძლივი დეპრესიის“ შედეგი იყო.

აი, როგორ ვერსიას გვთავაზობენ გერმანელი სამხედრო მოსამსახურე ოტო მილერი და ზაქსენჰაუზენის დაცვის ეფრეიტორი ფიშერი:

იაკობ სტალინი ერთ ბლოკში იმყოფებოდა ინგლისელ ოფიცრებთან ერთად, რომელთა შორითაც იყო ჩერჩილის ნათესავი ვინმე თომას კუშინგი. გერმანელებს სურდათ შეეტანათ განხეთქილება სსრკ-დიდი ბრიტანეთის ალიანსში, და ამ მიზნით ინგლისელები წააქეზეს იაკობის მოსაკლავად. სწორედ ჩერჩილის ნათესავი უნდა ყოფილიყო სტალინის ვაჟის მკვლელი! გეგმა შეასრულეს. ღამით დანებით შეიარაღებული ინგლისელი ოფიცრები შეიჭრნენ იაკობის საკანში. მან მოახერხა ფანჯრიდან გადახტომა და აღმოჩნდა ღობის მახლობლად. გუშაგმა, რომელმაც ამაზე ავტომატურად მოახდინა რეაგირება, ერთი გასროლით მოკლა იაკობი.

მაგრამ, ვერც ერთი ამ ვერსიათაგანი ვერ უძლებს კრიტიკას, თუ გავითვალისწინებთ ლეიტენანტ ზელინგერის, იაგერდორფის საკოცენტრაციო ბანაკის კომენდანტის ჩვენებებს. იგი ამტკიცებს, რომ სტალინის ვაჟი მის საკოცენტრაციო ბანაკში იყო. სტალინის ვაჟის მძიმე ავადმყოფობის გამო, ზელინგერი, რომელიც პასუხს აგებდა ამ ძვირფასი ტყვის სიცოცხლისთვის, იძულებული გახდა, გადაეყვანა იაკობი საავადმყოფოში, სადაც იგი მალე გარდაიცვალა კიდეც...

არ არსებობს სტალინის ვაჟის თუნდაც ერთი ჩანაწერი, რომელიც ან მაგნიტოფონზე, ან კინოფირზე იყოს აღბეჭდილი. არც ერთ „ოქმზე“ არ არის მისი ხელმოწერა.

1941 წლის ზაფხულში ჩვენი მოწინავე პოზიციები, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ნა-

№ 107. პარასკევი. 8 ივნისი. 2007 წელი.

უცხოური პრესა

„მე ჯარისკაცს ფელდმარშალზე არ ვცვლი“ – ალბათ, ყველას ახსოვს ეს ფრაზა საბჭოთა ისტორიის სახელმძღვანელოებიდან, რომელსაც იოსებ სტალინს მიაწერენ. ამბობენ, რომ გენერალისიმუსმა ასეთი პასუხი გასცა ჰიტლერის წინადადებას გაეცვალათ სტალინის ვაჟი იაკობი სტალინგრადთან დატყვევებულ პაულიუსზე

იაკობი ტყვეობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

◎ ჩვენებურებზე

ლეკეს გერმანელთა მიერ გავრცელებული სააგიტაციო ხასიათის ფურცლების ნაკადმა, რომლებზეც აღბეჭდილი იყო ტყვედ ჩავარდნილი სტალინის ვაჟი გერმანელ ოფიცრებთან ერთად. იქვე იყო გამოქვეყნებული მისი წერილიც, რომელიც ვითომდა იაკობმა მამას გაუგზავნა: „ძვირფასო მამა! მე ტყვეობაში ვარ, ჯანმრთელობას არ ვუჩივი, მალე გამგზავნიან გერმანიაში, ფაშისტების ერთ-ერთ ბანაკში. კარგად მეპყრობიან. გისურვებ ჯანმრთელობას. მოკითხვა გადაეცი ყველას. იაშა“ (საოცრად ნეიტრალური ტონია. თითქოს, წერილის ავტორი რაღაც ბანალურზე, ყოველდღიურ ამბავზე წერდეს).

ხელნაწერების ნიმუშთა, აგრეთვე იმ გერმანული ფოტომასალების ექსპერტიზა, რომლებზეც იაკობია აღბეჭდილი. დასკვნა კატეგორიულია:

„მამის სახელზე გაგზავნილი წერილი“, რომელიც გერმანელთა სააგიტაციო ფურცლებზე იყო დაბეჭდილი... იაკობ ჯუღაშვილმა კი არა, იმ სხვა პირმა დაწერა, რომელმაც მოახდინა სტალინის უფროსი ვაჟის ხელწერის კოპირება. 1941 წლის 20 სექტემბრის ჩანაწერიც სხვა პირის მიერ არის შესრულებული“. რაც შეეხება ფოტოსურათებს, მათი დამზადებისას გამოყენებულია რეტუში და „სარკისებრი არეკვლის“ ხერხი“.

...საარქივო მასალების თანახმად, მე-7 მექანიზებულმა კორ-

იაკობ ჯუღაშვილის ქალიშვილი:

ტყვეობაში

Галина
ДЖУГАШВИЛИ-СТАЛИНА
Тайна семьи вождя

და მისი ხელწერის კიდევ ერთი ნიმუში:

იუგოსლავი გენერალი მილუტინ სტეფანოვიჩი, რომელმაც სტალინის ვაჟი გაიცნო საკონცენტრაციო ბანაკში, აწარმოებდა დღიურს, რომლის პირველ ფურცელზე ვკითხულობთ: „...თვით იაკობ ჯუღაშვილის მიერ გაკეთებულ ჩანაწერს“. „იაკობ ჯუღაშვილი, უფროსი ლეიტენანტი, მოსკოვი, გრანოვსკის ქუჩა № 3, ბინა 84, 1941 წლის 20 სექტემბერი“.

2002 წლის მარტ-მაისის პერიოდში რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს კრიმინალური ექსპერტიზის ცენტრმა განახორციელა მამაჩემის

პუსმა უკანასკნელი ბრძოლა გამართა ვიტებსკის რაიონის სოფელ კოპტისთან. სწორედ ამ ბრძოლის შესახებ მოუყვა ერთ-ერთმა გადარჩენილმა ჯარისკაცმა ჩვენი ოჯახის მეგობარს გენერალ არტემ სერგეევს: „ტყვია-წამალი გაგვითავდა. გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა. უფროსი ლეიტენანტი ჯუღაშვილი მთლად გასისხლიანებული იყო“.

სტალინის ვაჟი არტილერიის ოფიცერი იყო და მან ბოლომდე გაიზიარა თანაპოლკელთა ბედი. იმ პერიოდში ეს სულაც არ იყო გასაკვირი. ხრუშჩოვის და მიქოიანის შვილებიც იბრძოდნენ ფრონტზე და იქ დაიღუპნენ კიდეც. როცა შეიტყვეს სტალინის ვაჟის დაღუპვის ამბავი – ომის პირველ წლებში გერმანელები გულდასმით ამოწმებდნენ იმ დოკუმენტებს, რომლებიც უპოვეს დაღუპულ საბჭოთა ოფიცრებს – გერმანიის სპეცსამსახურებმაც გადაწყვიტეს გაეყალბებინათ მასალები. შესაძლოა, ლეიტენანტ ჯუღაშვილის როლის შესრულებისთვის დაითანხმეს რომელიმე მისი თანამემამულე-მეომარი, რომელიც ასევე ჩავარდა ტყვედ და ცოტა რამ იცოდა სტალინის ვაჟის ხასიათისა და მისი ომამდელი ცხოვრების შესახებ. ან იქნებ, გერმანელებმა ამ სპექტაკლში მონაწილეობისთვის გამონახეს „თავიანთი ტყვე“. ლეგენდა შეიქმნა სპონტანურად, ძალზე მწირი ინფორმაციის საფუძველზე. ალბათ, სწორედ ეს განაპირობებს იაკობის ორეულის მიერ დაშვებულ შეცდომებს. იქნებ, სპეცოპერაციის შენილბვის მიზნით, სხვა ზომებსაც მიმართეს. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, მოეფინება თუ არა შუქი ყველა დეტალს. თუმცა, იმედი მაქვს, რომ დროთა განმავლობაში მამაჩემის „ტყვეობასთან“ დაკავშირებულ მთელ ამ ისტორიას გააქარწყლებენ როგორც აშკარა სიყალბეს.

პირადი საქმე

გალინა იაკობის ასული ჯუღაშვილი-სტალინა დაიბადა მოსკოვში. იგი სპეციალობით ფილოლოგია, არის ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, რუსეთის მწერალთა კავშირის წევრი, სამი მხატვრული წიგნის ავტორი. ამჟამად ცხოვრობს მოსკოვში. ჰყავს ქმარი და ვაჟი.

ალექსანდრე გამოვი.

რუსეთის უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა გააკეთა განცხადება: სტალინის უფროსი ვაჟი – იაკობი – მაინც იმყოფებოდა ფაშისტთა ტყვეობაში. ამ ადამიანის ბედის შესახებ ისტორიული კამათი უკვე რამდენიმე ათწლეულია გრძელდება. ბევრს მიაჩნდა და ახლაც მიაჩნია, რომ იაკობის ტყვეობის ამბავი გერმანიის დაზვერვის პროვოკაციაა. მაგალითად, იაკობ ჯუღაშვილის ქალიშვილი თავის წიგნში უარყოფს უშიშროების ფედერალური სამსახურის დასკვნებს.

„კომსომოლსკაია პრავდას“ მოჰყავს ორივე მხარის მოსაზრებები.

იაკობი ფაშისტთა ბანაკში ღირსეულად იქცეოდა

„მე ჯარისკაცს ფელდმარშალზე არ ვცვლი“ – ალბათ, ყველას ახსოვს ეს ფრაზა საბჭოთა ისტორიის სახელმძღვანელოებიდან, რომელსაც იოსებ სტალინს მიაწერენ. ამბობენ, რომ გენერალისიმუსმა ასეთი პასუხი გასცა ჰიტლერის წინადადებას გაეცვალათ სტალინის ვაჟი იაკობი სტალინგრადთან დატყვევებულ პაულიუსზე. ლეგენდის თანახმად, ან იქნებ, ეს ლეგენდა არც კი ყოფილა, ფრაზა პირველად გაჟღერდა იური ოზეროვის ფილმ-ეპოპეაში „განთავისუფლება“. ასეა, თუ – ისე, უკვე 60 წელზე მეტია ისტორიკოსები დავობენ არა მარტო ამ გამონათქვამის, არამედ ტყვეობაში თვით იაკობის ყოფნის ფაქტის შესახებაც. ნამდვილად არის ცნობილი, რომ უფროსი ლეიტენანტი იაკობ ჯუღაშვილი 1941 წლის ივლისამდე მეთაურობდა საარტილერიო ბატარეას. მაგრამ, ვიტებსკთან იგი ტყვედ ჩავარდა და გერმანელთა ბანაკებში 1943 წლამდე იმყოფებოდა. იაკობმა შეძლო ბანაკის დაცვის პროვოცირება, რომელმაც იგი მოკლა გაქცევის მცდელობის დროს.

ეს ოფიციალურად დაადასტურა რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის რეგისტრაციისა და საარქივო ფონდების სამმართველოს უფროსმა ვასილ ხრისტოფოროვმა.

– რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის არქივებში არის იმის საკმარისი დოკუმენტური მტკიცებულებანი, რომ იოსებ სტალინის ვაჟი, იაკობ ჯუღაშვილი, ნამდვილად იმყოფებოდა გერმანელთა ტყვეობაში, – აცნობა მან ჟურნალისტებს. – ყველა ის ადამიანი, რომლებიც იაკობთან ერთად იყვნენ დატყვევებულნი, ომის დასრულების შემდეგ იპოვეს და დაკითხეს. მათ აღნიშნეს, რომ იაკობი ბანაკში ღირსეულად იქცეოდა. მაგრამ გერმანელები იწერდნენ მის სამსაათიან დაკითხვებს და შემდეგ მაკრატლის მეშვეობით ახორციელებდნენ ამ ჩანაწერების მონტაჟს. ერთი სიტყვით, ისე გამოდიოდა, თითქოს იაკობი მზად იყო გერმანელებთან თანამშრომლობისთვის.

ვასილ ხრისტოფოროვს არ დაუზუსტებია, თუ კონკრეტულად რა მტკიცებულებებს გულისხმობდა. მაგრამ, როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, დოკუმენტებს შორის, მაგალითად, არის გერმანიის მე-4 არმიის სარდალთან არსებული ინფორმაციის სამსახურის ცალკე ასეულის ყოფილი მეთაურის მაიორ ვალტერ როიშლეს დაკითხვის ოქმები. ეს ოფიცერი ამტკიცებდა, რომ ჯუღაშვილთან საუბრებს ფირზე იწერდნენ. არქივშია დაცული ასევე ჟურნალ „შტერნში“ 1968 წელს გამოქვეყნებული მასალები, რომლებშიც გენერალ ვლასოვის კურატორი ვილფრედ შტრიკ-შტრიკფელტი აღნიშნავს, რომ გერმანელებმა ვერ შეძლეს სტალინის ვაჟის გადაბირება და ვერ აიძულეს მას ეღალატა სამშობლოსთვის.

არსებობს ასევე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის სეროვის მოხსენება მინისტრ კრუგლოვის სახელზე, რომელშიც ფიგურირებს სტალინის უფროსი ვაჟის საქმესთან დაკავშირებით გერმანელი ოფიცრების დაკითხვათა ანგარიშები. ამ ოფიცერთა შორის იყვნენ გერმანელთა ჯარების ცენტრალური ჯგუფის მთავარი შტაბის „შ-ს“ განყოფილების თანამშრომელი გენსგერ პაული, ესესელთა დივიზიის „მკვდარი თავის“ დაცვის ბატალიონის მეთაური ვეგნერ გუსტავი, ზაქსენჰაუზენის ბანაკის კომენდანტი კაინდლი.

ბევრი ჭორია გავრცელებული იაკობის დაღუპვასთან დაკავშირებით. აქედან ყველაზე მეტად გავრცელებულია ვერსია, რომ იგი შეგნებულად შეეხო მავთულხლართს, რომელშიც გადიოდა მაღალი ძაბვის დენი. მაგრამ ესესელთა დივიზიის „მკვდარი თავის“ სასამართლო ექსპერტიზის დასკვნაში წერია: „...1943 წლის 14 აპრილს, როცა დავათვალიერე ტყვის გვამი, დავასკვენი, რომ იგი მოკვდა თავში ტყვიის მოხვედრის შედეგად. სიკვდილის აშკარა მიზეზია ტვინის ქვედა ნაწილის დაზიანება...“

არ არის ცნობილი, თუ რას გულისხმობდა ვასილ ხრისტოფოროვი „ღირსეულ ქცევაში“. მაგრამ არსებობს კიდევ ორი პირის ჩვენებები, რომლებიც იაკობთან ერთად იმყოფებოდნენ ბანაკში. მკვლევარ იონ ანდრონოვს ნაშრომში „ზაქსენჰაუზენის პატიმარი“ მოჰყავს კაპიტან უჟინსკის და პოლიტხელ კაშკაროვის სიტყვები: „მე უკვე ვიმყოფებოდი ჰამელბურკის საკონცენტრაციო ბანაკში, როცა იქ 1942 წლის გაზაფხულზე მოიყვანეს იაკობ ჯუღაშვილი, – იხსენებს უჟინსკი. – ვნახე, როგორ მიუახლოვდა მას ბანაკის ერთ-ერთი მცველი საღებავიანი ქილით და ფუნჯით და როგორ დააწერა მკერდზე ასოები SU (აბრევიატურა „საბჭოთა კავშირი“). ასეთი წარწერა ჰქონდა ყველას როგორც მკერდზე, ისე ზურგზე. იაკობს კი წააწერეს ზურგზეც, მკერდზეც, შარვალზეც, პერანგის სახელოებზეც, ბეჭებზე და ქუდზეც კი! სანამ მცველი წერდა, ჯუღაშვილი მოუბრუნდა მის გვერდით შეკრებილ ოფიცრებს და ხმამაღლა გაიძახა:

– წარწერა „საბჭოთა კავშირი“ ღირსებას, პატივს მმატებს! მე ვამაყობ ამით!

ამ სიტყვებმა ყოველივე ჩვენგანზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა...“

ა.კაშკაროვი იხსენებს გენერალ კარბიშევის სიტყვებს (იგი 1945 წელს დასაჯეს სიკვდილით მაუტჰაუზენის ბანაკში): „იაკობი იყო მტკიცე საბჭოთა ოფიცერი და დიდი პატრიოტი“.

ალექსანდრე კოცი,
ალექსანდრე ბოიკო

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

ცხოვრება

● აფხაზეთში მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებასა და მაღალ დონეზე აყვანის საქმეში ფასდაუდებელი ღვაწლის დამდები, ამ ავტონომიურ რესპუბლიკაში ქირურგთა კადრების მომზადების მოთავე, ცხოვრების ბოლო 25 წლის მანძილზე კი მთელ საქართველოში უროლოგიური სამსახურის შემდგომი განვითარება-განმტკიცებისათვის დაუღალავი მებრძოლი...

◎ ინფორმაცია

ფართომასშტაბიანი წვრთნები აფხაზეთში

აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ფართომასშტაბიანი წვრთნები დაიწყო, რომელიც 7 ივლისს დასრულდება.

ამის შესახებ სააგენტო „აპსნი ონლაინი“ იუწყება. სააგენტოს ცნობით, წვრთნების დროს გამოყენებული იქნება, როგორც მსუბუქი, ისე მძიმე სამხედრო ტექნიკა, მათ შორის საზღვაო შეიარაღება.

როგორც აფხაზეთის დე ფაქტო თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანატოლი ზაიცევი აცხადებს, წვრთნები ჩატარდება ზამთრისა და ზაფხულის საბრძოლო მომზადებებში, აგრეთვე, გაიმართება მეთოდური სწავლება და მეცადინეობები მტრის უმოკლეს დროში განადგურების შესახებ.

მისივე თქმით, 2 ივლისს აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება საყოველთაო წვრთნას ჩაატარებს, სადაც გამოყენებული იქნება ყველა სახის შეიარაღება.

გუბერნატორია თუ მეფისნაცვალი

ძუთაისში „ახალი მემარჯვენეები“ გუბერნატორების უფლებამოსილების გაზრდის წინააღმდეგ გამოდიან.

აღნიშნული კანონპროექტი საქართველოს მთავრობამ პარლამენტში უკვე წარადგინა.

„ახალი მემარჯვენეების“ ქუთაისის ოფისში აცხადებენ, რომ კანონის მიღებით ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს, დაასუსტოს და მართვადი გახადოს ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელიც ისედაც სუსტს ღაფავს.

„მემარჯვენეები“ აპროტესტებენ „საგადასახადო და არასაგადასახადო კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ კანონპროექტსაც. კანონპროექტის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ცენტრალურ ბიუჯეტში გაიგზავნება და შემდეგ გადანაწილდება.

„საქართველოს ავიახაზები“ აუქციონზე იყიდება

„საქართველოს ავიახაზების“ ქონება ორ ლოტად არის გამოტანილი. ობიექტის ძირითადი საშუალებები, კერძოდ, 61 ათასი კვ. მეტრი მიწის ფართი და 10 ათასი კვ. მეტრი საერთო ფართის შენობა-ნაგებობები, 4 მილიონ 100 ათას დოლარად შეფასდა.

მეორე ლოტში კი „საქართველოს ავიახაზების“ კუთვნილი საჰაერო სამოქალაქო თვითმფრინავები: „ტუ 154-ბ“ და „იაკ 40“ შედის. ლოტის საწყისი ფასი 750 ათასი დოლარია.

აუქციონი კომპანიის ქონებაზე „საქართველოს ავიახაზების“ ადმინისტრაციულ შენობაში 21 ივნისს გაიმართება.

სახელმწიფო კომპანია „საქართველოს ავიახაზები“ 2000 წელს გაკოტრდა. გავრცელებული ინფორმაციით, მის გაკოტრებაში წვლილი ავიაკომპანია „აირზენას“ მაშინდელ ხელმძღვანელებს მიუძღვით.

ინტერპრესნიუსი

◎ სახელოვანი მეოცესაუკუნელები

დიდი პატივგება დიდ დარბაზში

სოკრატ არშბა – აფხაზი და ქართველი ხალხების მართლაც რომ ღირსეული შვილი, 80-წლიანი სიცოცხლის მანძილზე აფხაზთა და ქართველთა შორის საუკუნოვანი კეთილი ურთიერთობებისა და ტრადიციული ძმობის დაუცხრომელი მქადაგებელი, ამ ორი ხალხის გულებს შორის ერთ-ერთი საიმედო ხიდი...

საყოველთაოდ ცნობილი ექიმი-დასტაქარი, პროფესიისადმი თავდადებისა და სიყვარულის იშვიათი დემონსტრატორი, წმინდა ადამიანი, გულისხმიერების, პრინციპულობის, ჭირსა თუ ლხინში თანადგომის საოცარი განმასახიერებელი;

კაცი დიდად განათლებული, ერუდიციით შესაშური, დიაპაზონით ფართო, მკვლევარიც სახელმოხვეჭილი: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, 150-მდე სამეცნიერო შრომის (ეს ციფრი 6 მონოგრაფიასაც მოიცავს) ავტორი, 6 სადოქტორო და 20 საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელი;

აფხაზეთში მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებასა და მაღალ დონეზე აყვანის საქმეში ფასდაუდებელი ღვაწლის დამდები, ამ ავტონომიურ რესპუბლიკაში ქირურგთა კადრების მომზადების მოთავე, ცხოვრების ბოლო 25 წლის მანძილზე კი მთელ საქართველოში უროლოგიური სამსახურის შემდგომი განვითარება-განმტკიცებისათვის დაუღალავი მებრძოლი...

სამაგალითო იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უროლოგიისა და ნეფროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად სოკრატ არშბას მუშაობის 20-წლიანი (1965-1985) პერიოდი – მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებით, უროლოგიის ცალკეული განხრების: ნეფროლოგიის, ექსპერიმენტული უროლოგიის, ბავშვთა უროლოგიის, ონკოლოგიური უროლოგიისა თუ სხვა სპეციალობების ჩამოყალიბებითა და სათანადო კადრების მომზადებით.

მრავალმხრივი სამკურნალო, სამეცნიერო, პედაგოგიური, ორგანიზატორული მუშაობის პარალელურად ის ახერხებდა ინტენსიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას და არაერთ ფუნქციას ასრულებდა იმდროინდელ საბჭოურ და პარტიულ სტრუქტურებში. შესაბამისად, არ დაჰკლებია საბჭოთა ხანისათვის ჩვეული ჯილდოები, წოდებები, ღირსეული დაფასება.

აი, ასეთი გამოჩენილი აფხაზი პიროვნების დაბადებიდან 100 წლისთავს მიუძღვნეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიამ და ა. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნულმა ცენტრმა ერთობლივი საიუბილეო სესია.

იყო მისალმებები საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის თამაზ გამყრელიძისა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ლადო ჭიპაშვილისა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის დალილა ხორავასი; იყო მოხსენებები პროფესორ შოთა გოგოხიასი („სოკრატ არშბა აფხაზეთში“), პროფესორ გიორგი ბოჭორიშვილისა („სოკრატ არშბას ცხოვრება და მოღვაწეობა“) და, რა თქმა უნდა, მოგონებები.

გამომცემლობა „აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიას“ ირონ ფიფიასა და ვიქტორ ზარქუას ჩინებული წიგნაკი „სოკრატ არშბა“ დაუსტამბავს. აქ ციტირებულ ლიტერატურაში ჩვენი გაზეთის ხუთი პუბლიკაცია გამოვჩხრიკე სოკრატ არშბაზე. წინამდებარე წერილი მეექვსე იქნება...

თამაზ ილმელი

განცხადება

შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის“ ქონების აუქციონის წესით გაყიდვის შესახებ

შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის“, გაკოტრების მმართველი აცხადებს აუქციონს შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის“ ქონებაზე.

ქონების დასახელება: შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის“ ქონება (გაკოტრების მასა).

ქონების დახასიათება:

მეორად სამშენებლო მასალებად (სინკარი, პეკაუი, ბეტონის ბოძი, ბეტონის ანაკრეფი (სოგი), აგური, სამშენებლო ბლოკი, საძირკვლის ბლოკი, საკედლე პანელი, ლითონის მილი, საკომუნიკაციო მილები და სხვა). დასაშლელი საფრინველე (დამხმარე ნაგებობები) კომპლექსის (ამორტიზირებული) და სასოფლო-სამეურნეო ავტოტექნიკა და ავტომანქანები (ამორტიზირებული), მდებარე კასპის რაიონის სოფელ მირიანში.

საწყისი გასაყიდი ფასი 75 000 (სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარი. „ბე“ საწყისი გასაყიდი ფასის 10 პროცენტი ((7500 ლარი).

ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი: საქციო საზოგადოება საქართველოს „სახალხო ბანკის“ კასპის ფილიალი, ბანკის კოდი 220101478, ანგარიშის №36020140 (შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის“ გაკოტრების მმართველი სააუქციონო ანგარიში).

აუქციონის ჩატარების ადგილი და დრო: ქალაქი კასპი, რუსთაველის ქ. №20, 2007 წლის 5 ივლისი, 12 საათი.

განცხადების მიღების ვადაა: 08.06.07 წელი, 04.07.07 წელი – 10 საათიდან – 17 საათამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინონ:

1. განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ;
2. „ბე“-ს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;
3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
4. ნოტარიულად დამტკიცებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
5. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს და მმართველი ორგანოს გადაწყვეტილებას აუქციონში მონაწილეობის შესახებ.

შენიშვნა: აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყისი ფასის „ბიჯის“ გათვალისწინებით, რომელიც შეადგენს 3000 (სამიათასი) ლარს) გადახდა. დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ შემდეგ მისამართზე: ქალაქი კასპი, რუსთაველის ქ. №20, ტელ: 8(271) 2-40-5:, გაკოტრების მმართველი გიორგი მერებაშვილი.

გაკოტრების მმართველი
გიორგი მერებაშვილი

საქმე № 281

განჩინება

განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ

29 მაისი 2007 წელი ქ. კასპი

კასპის რაიონული სასამართლოს მოსამართლე დავით პაპუაშვილმა ზეპირი მოსმენის გარეშე ერთპიროვნულად განვიხილე სს „კასპის სასურსათო კომბინატის“ განცხადების წარმოებაში მიღების საკითხი.

დავადგინე:

სს „კასპის სასურსათო კომბინატის“ განცხადება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ მიღებული იქნეს სასამართლოს წარმოებაში.

განცხადების სასამართლოს წარმოებაში მიღების დღიდან შეჩერდეს სს „კასპის სასურსათო კომბინატის“ მიმართ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება, ხოლო იძულებითი აღსრულების სხვა ღონისძიება არ იქნეს დაშვებული.

სს „კასპის სასურსათო კომბინატის“ გაკოტრების დროებით მმართველად დაინიშნოს ვახტანგ კაპანაძე, დაბ. 1972 წლის 2 ნოემბერს, მცხ. რუსთავში, 21-ე მკრ., კორპ. №5, ბინა №75-ში, რომელიც ვალდებულია, იმოქმედოს „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.

აეკრძალოს სს „კასპის სასურსათო კომბინატის“ ხელმძღვანელობას და საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს ქონების განკარგვა ან სხვა ამგვარი ხასიათის მოქმედება გაკოტრების დროებით მმართველთან შეუთანხმებლად.

დაევალოს გაკოტრების დროებით მმართველს განჩინების გამოტანიდან 20 (ოცი) დღის ვადაში, მიაწოდოს სასამართლოს შემდეგი ინფორმაცია:

1. რეალურად არსებობს თუ არა სს „კასპის სასურსათო კომბინატის“ გაკოტრების საფუძველი „გაკოტრების საქმეთა წარმოებისა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად;
2. საკმარისია თუ არა მოვალის ქონება გაკოტრების საქმის წარმოების ხარჯების დასაფარად ამავე კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად;
3. შეიძლება თუ არა, შედეგიანად გაგრძელდეს მოვალის საქმიანობა თუ საჭიროა საწარმოს დახურვა.

გაკოტრების დროებითი მმართველის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება გადაიდოს გაკოტრების საქმის წარმოების საკითხის გადაწყვეტამდე.

განჩინების ასლები გადაეგზავნოს გორის საგადასახადო ინსპექციას, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კასპის სარეგისტრაციო სამსახურს, სს „კასპის სასურსათო კომბინატის“ დირექციასა და შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროს.

განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილები გამოქვეყნდეს ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში.

განჩინებაზე განცხადების სასამართლოს წარმოებაში მიღების ნაწილში შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა ასლის მხარისათვის გადაცემიდან 12 (თორმეტი) დღის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოში კასპის რაიონული სასამართლოს მეშვეობით.

მოსამართლე დავით პაპუაშვილი

● ასეა თუ ისე, „ევრო — 2008“-ის შესარჩევ ციკლში სამთვიანი შესვენება გამოცხადდა. საკითხავია, შეიცვლება კი რაიმე სასიკეთოდ შემოდგომაზე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

◎ ორბიტაზე

„ჩელსი“ ფორმას იცვლის

ლონდონის „ჩელსის“ მფლობელმა რომან აბრამოვიჩმა გადაწყვიტა, რადიკალურად შეცვალოს კლუბის გამოსასვლელი ფორმის ფერები. მომავალ სეზონში „არისტოკრატები“ გულშემატკივრებს გამოეცხადებიან ყვითელ-მწვანე მაისურებში.

როგორც ამბობენ, აბრამოვიჩს ძალზე მოეწონა „ბარსელონას“ ფორმის ფერები, რაც წააგავს ლონდონელთა ახალი სამოსლის ფერებს. თუმცა, ჯერჯერობით ახალი ფორმის კომპლექტი ოფიციალურად არ გამოუმზეურებიათ, წამყვანმა ფეხბურთელებმა მაინც მოახერხეს გულშემატკივრებისთვის მისი ჩვენება.

პირველ ოფიციალურ მატჩს ახალი ფორმით გუნდი ივლისში გამართავს, აშშ-ში ტურნეს დღეებში.

რობერტო კარლოსი — თურქეთში?

ბრალიზილელმა, მადრიდში 11 წელი რომ გაატარა, ახლა კონტრაქტი გააფორმა თურქულ „ფენერბახჩესთან“. 34 წლის ფეხბურთელმა ახალ კლუბთან კონტრაქტი თავისი აგენტის საშუალებით გააფორმა და მომავალ სეზონს თურქეთში დაიწყებს.

შერკინება თანაბარ რანგში

ტოკიოში სუმოს მთავარ სასახლეში „კოკუგიკანში“ გაიმართა თანამედროვეობის ორი დიდი მოჭიდავე-იოკუძუნის — მონღოლი გოლიათის ასოშორიუსა და ახალბედა დიდი ჩემპიონის ხაკუხოს პირველი ორთაბრძოლა თანაბარ რანგში. ძალზე დაძაბული, უკომპრომისო შერკინება დამთავრდა უფრო გამოცდილი ასოშორიუს გამარჯვებით.

რეკლამა ეპილეფსიას იწვევს?

სწორედ ამ მიზეზით სასწრაფოდ შეაჩერეს 2012 წლის ლონდონის ზაფხულის ოლიმპიადის ვიდეორეკლამის ჩვენება — ეპილეფსიით დაავადებულთ მისი ყურებისას შეტევები დაეწყოთ.

ვიდეორეკლამაში გამოყენებული იყო ოლიმპიადის ახალი ლოგოტიპიც. არასასურველი ზეგავლენა მოახდინა თურმე კადრებმა, როდესაც წყალში მყვინთავის გარშემო სხვადასხვა ფერის პატარა ტალღები გამოჩნდა.

◎ ფეხბურთი

მოგწონთ? გყავდეთ!

მეზობელმა სომხებმა რამდენიმე დღის ინტერვალით ჯერ თავიანთ ტოლ-სწორ ყაზახებს სძლიეს სტუმრად, ხოლო შემდეგ გაცილებით უფრო ძლიერი პოლონელები დააჩოქეს შინ. ამავე პერიოდში ტოპმიოლერის გაწვრთნილი „ჯვაროსნები“ შინ უქულოდ დაბრუნდნენ როგორც მათივე კალიბრის ლიტვასთან, ისე გრანდ საფრანგეთთან ბღლარძუნის შემდეგ. ეს ისე, შედარებისთვის მოგახსენებთ, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც თავი უკვე ყინჩად მოაქვს, აქაოდა,

ოსერში საპატიო ანგარიშით დავმარცხდითო. იმას რატომ არ აქცევენ ყურადღებას, მთელი გუნდი უმისამართოდ რომ იგერიებდა ბურთს და მეტოქის კარისკენ პირველად 70-ე (!) წუთზე დაარტყეს (მუჯირი).

თუ იმით იმართლებენ ქართული ფეხბურთის ვაიმამები თავს, ძირითადი შემადგენლობის დიდი ნაწილი გვაკლდაო, ერთი უბრალო მიზეზის გამო აღნიშნულ არგუმენტს ამჯერად ვერ გავიზიარებთ — გადაავლეთ თვალი მასპინძელთა გაანაცხადს და დარწმუნდებით, რომ ისინიც სერიოზული საკადრო პრობლემებმა დააზარალა (ანრი, ვიეირა, ტრეზეგე, ვილტორდი, საჰა, კუპე). სხვა საქმეა, სრულფასოვანი შემცვლელები რაიმონ დომენეკს გაცილებით მეტი რომ ჰყავს — ეს მხოლოდ ჩვენი პრობლემაა და არა „სამფეროვნების“.

ასეა თუ ისე, „ევრო — 2008“-ის შესარჩევ ციკლში სამთვიანი შესვენება გამოცხადდა. საკითხავია, შეიცვლება კი რაიმე სასიკეთოდ შემოდგომაზე? ძნელი გასაცემია, ალბათ, დადებითი პასუხი.

ოთხშაბათის რაუნდის სრული შედეგები:

I ჯგუფი. ფინეთი — ბელგია 2:0, ყაზახეთი — აზერბაიჯანი 1:1, სომხეთი — პოლონეთი 1:0.

პოლონეთი — 19, პორტუგალია, სერბეთი, ფინეთი — 14-14, სომხეთი, ბელგია — 7-7, ყაზახეთი, — 6, აზერბაიჯანი — 5 ქულა.

22 აგვისტოს ითამაშებენ: ბელგია — სერბეთი, სომხეთი — პორტუგალია, ფინეთი — ყაზახეთი.

II ჯგუფი. საფრანგეთი — საქართველო 1:0, ლიტვა — იტალია 0:2, ფარერები — შოტლანდია 0:2.

საფრანგეთი — 18, იტალია — 16, შოტლანდია — 15, უკრაინა — 12, ლიტვა — 7, საქართველო — 6, ფარერები — 0 ქულა.

8 სექტემბერს ითამაშებენ: საქართველო — უკრაინა, შოტლანდია — ლიტვა, იტალია — საფრანგეთი.

III ჯგუფი. საბერძნეთი — მოლდოვა 2:1, ბოსნია — მალტა 1:0, ნორვეგია — უნგრეთი 4:0.

საბერძნეთი — 18, ნორვეგია, თურქეთი, ბოსნია — 13-13, უნგრეთი — 6, მალტა — 4, მოლდოვა —2 ქულა.

8 სექტემბერს ითამაშებენ: მალტა — თურქეთი, მოლდოვა — ნორვეგია, უნგრეთი — ბოსნია.

IV ჯგუფი. გერმანია — სლოვაკეთი 2:1.

გერმანია — 19, ჩეხეთი — 14, ირლანდია — 13, სლოვაკეთი — 9, უელსი — 7, კვიპროსი — 4, სან-მარინო — 0 ქულა.

22 აგვისტოს ითამაშებენ: სან-მარინო — კვიპროსი.

V ჯგუფი. ესტონეთი — ინგლისი 0:3, ხორვატეთი — რუსეთი 0:0, ანდორა — ისრაელი 0:2.

ხორვატეთი, ისრაელი — 17-17, რუსეთი — 15, ინგლისი — 14, მაკედონია — 7, ესტონეთი, ანდორა — 0:0 ქულა.

22 აგვისტოს ითამაშებენ: ესტონეთი — ანდორა.

VI ჯგუფი. ლიხტენშტაინი — ესპანეთი 0:2, შვედეთი — ისლანდია 5:0, ლატვია — დანია 0:2.

შვედეთი, ესპანეთი — 15-15, ჩრდილოეთ ირლანდია — 13, დანია — 10, ისლანდია, ლიხტენშტაინი — 4-4, ლატვია — 3 ქულა.

22 აგვისტოს ითამაშებენ: ჩრდილოეთ ირლანდია — ლიხტენშტაინი.

VII ჯგუფი. რუმინეთი — სლოვენია — 2:0, ლუქსემბურგი — ალბანეთი 0:3, ბულგარეთი — ბელორუსია 2:1.

რუმინეთი — 17, ბულგარეთი — 15, ჰოლანდია — 14, ალბანეთი — 9, ბელორუსია — 7, სლოვენია — 4, ლუქსემბურგი — 0 ქულა.

8 სექტემბერს ითამაშებენ: ჰოლანდია — ბულგარეთი, ბელორუსია — რუმინეთი, ლუქსემბურგი — სლოვენია.

ამხანაგური მატჩი. ტაილანდი — ჰოლანდია 1:3.

◎ ძიუდო

„აპროპოლისი — 2007“

უკვე გაუწყეთ, რომ ათენში ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირზე („აკროპოლისი — 2007“) საქართველოს სპორტსმენებმა ერთი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

— საბერძნეთის დედაქალაქში ახალგაზრდული შემადგენლობით გავემგზავრეთ, — მითხრა ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელმა ვაჟა ბალხამიშვილმა. — ქვეყნის მთავარი გუნდის უფროსი მწვრთნელის — შოთა ხაბარელის სურვილი იყო, ნაკრების მომავალი ცვლა უფროსებთან ბრძოლაში გამოგვეცადა. მართალია, ოქროს მედალი ვერ მოვიპოვეთ, მაგრამ შედეგებითა და ბიჭების ჭიდაობით კმაყოფილი ვარ.

განსაკუთრებით გურამ გოგიძემ (81 კმ) იყოჩაღა. მან ოთხი შეხვედრა მოიგო და მხოლოდ ბოლო ორთაბრძოლა დათმო სამბოში ახალგაზრდებს შორის ლიტველ ევროპის ჩემპიონ მატუკას რადვალასთან, რითაც მეორე ადგილს დასჯერდა.

დავით ლორიაშვილმა (90) წლეულს საქართველოს პირველობაზე ოლიმპიურ ჩემპიონ ზურაბ ზვიადაურს სძლია. ათენშიც კარგად ჩაება პაექრობაში, თუმცა ოლიმპიურ ჩემპიონ ჯარჯი ზვიადაურთან დამარცხდა მეოთხედფინალში. დათომ შემდეგ სამ მეტოქეს აჯობა დამამშვიდებელ წრეში და „ბრინჯაოც“ დაიმსახურა. მსგავს წარმატებას მიაღწიეს თენგიზ პაპოშვილმა (73) და გიორგი დუღაშვილმა (100), არადა, საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, უკეთესი ადგილების დაკავებაც შეეძლოთ.

რაც მთავარია, ათენის ტურნირმა გვიჩვენა, რომ ეროვნულ ნაკრებს კარგი ცვლა ეზრდება. თანაც, მარტო ისინი როდი არიან — ზემოაღნიშნული ათლეტების გარდა, სხვაც ბევრი გვყავს სასახელო. მთავარ გუნდში მოსახვედრად კონკურენცია გაიზრდება. ეს კი მომავალ გამარჯვებათა საწინდარი გახდება.

ლექსო ციწცაძე

სურათზე: საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები აკროპოლისის თასზე გამოსვლის წინ.

◎ კალათბურთი

კადეტთა ცხელი ზაფხული

ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირამდე ნახევრით ადრე საქართველოს კადეტთა ნაკრებმა საწვრთნელი შეკრება აკადემიის დარბაზში შემდეგი შემადგენლობით დაიწყო: **ტატო თავართქილაძე, მერაბ ბოქოლიშვილი, ლევან სულაბერიძე, გიორგი ხეთაგური (აკადემია), გიორგი გოლოველი, ირაკლი მაღლაკელიძე, ლუკა ჭოხონელიძე, თორნიკე შენგელია, გიორგი ვაშაყმაძე („მართვე“), ბექა ჩიკვილაძე, გიორგი ელანიძე (თსუ), გივი ბაქრაძე („კონსტანტა“), აკაკი დვალიშვილი („აზოტი“) და დავით იოსელიანი („მაკაბი“.**

ელადაში გამგზავრებამდე ყმაწვილი „ჯვაროსნები“ ოფლის საღვრელად კახეთსაც ეწვევიან, ხოლო გენერალური რეპეტიცია შავი ზღვის სპორტულ თამაშებზე თურქეთში ელით.

რაც შეეხება კონტინენტის პირველობას, ჩვენი თანამემამულენი კუნძულ კრეტაზე ურთულეს ჯგუფში მოხვდნენ და მეტოქეებს ასეთი თანმიმდევრობით შეხვდებიან:

20 ივლისი. ესპანეთი — საქართველო.

21 ივლისი. იტალია — საქართველო.

22 ივლისი. სლოვენია — საქართველო.

დავძენთ, რომ მეორე ეტაპზე სამი საუკეთესო გუნდი გავა, ხოლო ბოლოადგილსანი ელიტაში დასარჩენად იბრძოლებს.

№ 107. პარასკევი, 8 ივნისი, 2007 წელი.

წიგნიერთათვის

ქართულ მეცნიერებას არასოდეს მოჰკლებია მსოფლიო მეცნიერული საზოგადოებრიობის ყურადღება. ახლა, როცა აკადემიის „მოამბე“ ასე მრავალმხრივ მოერგო საერთაშორისო სტანდარტებს, ეს ყურადღება ჟურნალის მეშვეობით, უთუოდ კიდევ მეტად გაიზრდება.

◎ ახლახან გამოიცა

„მოკირკიტე“ კაცის შენიშვნები

წიგნს (რომანს), რომელიც ახლა მაგიდაზე მიდევს და დიდი ყურადღებით წავიკითხე, „ჯიმაჩაფილი“ ჰქვია. მწერალი და ფოლკლორისტი გიზო ჭელიძე გახლავთ მისი ავტორი. ნაშრომს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციე, რადგან მასში მოქმედება ჩემს კუთხეში, ენგურის ხეობაში მიმდინარეობს და ძირითადი ქარგა ეთნოგრაფიულ მოტივებზეა გაშლილი.

ექსპედიცია, რომელსაც რომანის მთავარი გმირი თენგიზ ჭანიშვილი ხელმძღვანელობს, ეძებს სიტყვა „ჩაფილ“-ს და ამ ძებნა-ძიებაში მკითხველი მრავალ ეთნოგრაფიულ თუ ფოლკლორულ ძეგლს ეცნობა.

როგორც რომანის ავტორი ფიქრობს, „ჩაფილობა“ თავისთავად მეტად საინტერესო მოვლენაა ქართულ ფოლკლორში და იგი ერთობ მიმზიდველ ტრადიციას გულისხმობს, თუმცა...

სერგი მაკალათია ამბობს: –„... აკრძალული იყო („ვაშინერსი“) გამზრდელის, ძიძის – **„ძიძექკუაში“** ნათესავის და გვარის შერთვა და **არც** ძმად, დად, დედად თუ მამად მოგებული – „ჩაფილის“ ნათესავისა და მახლობლის შერთვა...

... ვისაც სურდა მიცვალებულის სანაცვლოდ საყვარელი ადამიანის მოგება, მას თმას შეაკრეჭინებდა, რასაც უწოდებდნენ „თუმაში მიკოთამა“-ს. წლის თავზე ეს არჩეული პირი მაკრატელს აიღებდა და შეაჭრიდა თმას მგლოვიარეს და იგი ამ დღიდან ითვლებოდა „ჩაფილად“, ე.ი. მოგებულად. მაგალითად, დიდა-ჩაფილი (დედის მაგიერი ან მონაცვლე), ჯიმა-ჩაფილი (ძმის მაგიერ), და-ჩაფილი (დის მაგიერ) და სხვა... ჩაფილი თმას ჩვარში გახვევდა და შეინახავდა... (სერგი მაგალათია – „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“, გვ. 289).

... და ამ ორ ოჯახებს შორის იწყებოდა მეგობრობისა და ერთგულების უმაგალითო ტრადიცია!

„ჩაფილობას“ თავის „მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკაში“ განმარტავს იოსებ ყიფშიძეც (ოღონდ მასთან „ჩაფილი“ „ჩაფირად“ არის მოხსენიებული), სადაც ასო-ბგერა „ლ“ ასო-ბგერა „რ“-თია შეცვლილი. ამასთან, ყიფშიძე განმარტავს „ჯიმაჩაფირს“ და მას „молочный брат“-ის ერთ ძუძუნაწოვს, ძუძუმტეს უწოდებს. რა გასაკვირია, რომ ბატონ გიზო ჭელიძესაც ასე ეთქვა რომანის წინათქმაში: „ჩაფილი“ ძველკოლხური სიტყვაა. პირდაპირი გაგებით იგი ნიშნავს ძმის მაგიერს, გარდაცვლილი ძმის სანაცვლოდ აყვანილ პიროვნებას“.

გულწრფელი ბოდიში მინდა მოვიხადო ამ ავტორიტეტული ავტორების წინაშე, მაგრამ...

არც „ჩაფილი“ და, მით უფრო, არც „ჩაფირი“ არ ნიშნავს გარდაცვლილის მაგივრად აყვანილ პიროვნებას!

„ჩაფილი“ ნიშნავს „ნაკვებს“, „ნაჭამს“ (ძუძუ-ნაჭამი, ძუძუთი ნაკვები) და დადასტურებულია, როგორც „ძუძუჩაფილი“, ანუ „ძუძუმტე“!.

გარდაცვლილი ძმის, დის, დედის, მამის თუ სხვის მაგივრად აყვანილ პიროვნებას სულ სხვა სახელი ჰქვია და ეს სიტყვაა **„ჯიმაშ-ეფერი“**, ზოგ შემთხვევაში კი **„ჯიმა-ლაფირი“** („დაშ-ეფერი“, „დიდაშ-ეფერი“, მუმაშ-ეფერი“, „ჯიმა-ლაფირი“, „მუმა-ლაფირი“ და ა.შ.)

სწორედ ეს ტერმინი გამოხატავს ზუსტ შინაარსს და იგი არაერთხელ მომისმენია უხუცესი ჩქვალერელებისაგან. ჩქვალერი კი, ის სოფელია, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია ძვირფასი ეთნოგრაფიული თუ ფოლკლორული ძეგლები.

„ჯიმაშ-ეფერი“-„ჯიმაში“ – ძმა ნათესაობით ბრუნვაში, „ეფერი“ – ისეთი, მსგავსი, სადარი!

„ჯიმა-ლაფირი“- „ჯიმა – ძმა, „ლაფირი“ – აყვანილი, არჩეული!

აქედან გამომდინარე „ჯიმაშ-ეფერი“ ნიშნავს ძმის ფერს, ძმის სადარ ადამიანს, რომელსაც „ძუძუს ჭმევასთან“, „ძუძუმტეობასთან“, ძუძუს შვილობასთან“ (молочный брат – ყიფშიძესთან) ნაკლები კავშირი აქვს.

ამასთან, აქვე გავბედავ და ვიტყვი – მეეჭვება, რომ „ჩაფილი“ ფორმაც სწორი იყოს! ორივეგან (მაკალათიასთანაც და ყიფშიძესთანაც) საქმე ხომ არ გვაქვს კორექტურულ ან ჩამწერ-ინფორმატორისეულ უნებლიე უზუსტობასთან? მით უფრო, რომ ამგვარი ხარვეზები ორივე ნაშრომში (ს.მაკალათიას – „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“ და ყიფშიძის „მეგრული ენის გრამატიკა“), სამწუხაროდ, აქა-იქ შეინიშნება (მაგ: მაკალათიასთან – ნაცვლად „ძიძესქუა“-სი – „ძიძექკუაშ“ და ყიფშიძესთან – „ჩაფირი“).

ასეა თუ ისე, ბატონ გიზო ჭელიძის რომანის გმირს, ეთნოგრაფ თენგიზ ჭანიშვილს მაინც და მაინც „ჯიმაშ-ეფერის“ კი არა, არამედ „ჯიმაჩაფილის“ აღმოჩენა განუზრახავს, რათა დაამტკიცოს „ძმის მაგიერს“, გინდა თუ არა, ასე ჰქვიაო.

არ ვიცი, ნამდვილად იპოვა თუ არა ჭანიშვილმა ეს ფოლკლორული „ძეგლი“, მაგრამ მწერალს ამ საძიებო მარშრუტისათვის ლამაზი ჩოხა-ახალუხი ჩაუცვამს და, მე ვიტყოდი, არც ისე ურიგო რომანი გამოსვლია, რომელიც ზოგიერთი გეოგრაფიული, სტილისტური და კორექტურული ხარვეზის მიუხედავად, სასიამოვნოდ იკითხება და თუ ჩემისთანა „მოკირკიტე“ (და ისიც, ენგურისპირელი) მკითხველი არ ეყოლება, მშვენიერი თვალმისადევნებელია სიუჟეტურად.

ზაურ ფიფია

◎ ეროვნული – საერთაშორისო

„პირველთაგან იყო მუსხელიშვილი“

ერთგვარი პაუზის შემდეგ განახლდა „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბის“ გამოცემა. გამოვიდა წლევანდელი იანვარ-თებერვალ-მარტის ნომერი.

ჟურნალის განახლება ფორმატიდანვე დაწყებულა: ლამაზად გაფორმებული ყდა იპყრობს ყურადღებას და მერე, ფურცვლას რომ დაიწყებ, მაღალი პოლიგრაფიული დონე, ისეთი, როგორიც ადრე არცროდის ყოფილა!

თავიდანვე გამოიკვეთება ის გარემოება, რომ „მოამბეს“ მკვიდრი საერთაშორისო სტატუსი შეუძენია ინგლისური ენის „წამყვანობით“ (ანოტაციებია ქართული). სარედაქციო კოლეგია თუ წმინდა ეროვნული შემადგენლობაა, სარედაქციო საბჭოში მოწვეული არიან მსოფლიო სახელის სპეციალისტები **ჟორეს ალფიოროვი** (სანკტ-პეტერბურგი; ფიზიკა), **ფრიდრიჰ ჰირცებრუხი** (ბონი; მათემატიკა), **ვიაჩესლავ ივანოვი** (ლოს-ანჟელესი; სემიოტიკა, კულტურის ისტორია), **ბორის პატონი** (კიევი; მეტალურგია, ლითონთა ტექნოლოგია), **როალდ საგდეევი** (აშშ; გეოფიზიკა) და სხვანი. ამავე საბჭოში ვხვდებით ცნობილ ქართველ „ლეგიონერებსაც“: **ლეონიდ ბოკერიას** (მოსკოვი; გულსისხლძარღვთა ქირურგია), **გიორგი დვალს** (ნიუ-იორკი; თეორიული ფიზიკა), **რევაზ გამყრელიძეს** (მოსკოვი; მათემატიკა), **ნიკოლოზ ყიფშიძეს** (ნიუ-იორკი; ექსპერიმენტული მედიცინა), **გიორგი მუსხელიშვილს** (ბრემენი; მოლეკულური გენეტიკა), **ზურაბ წერეთელს** (მოსკოვი; ხელოვნება) და **ასლან ცივაძეს** (მოსკოვი; ქიმიური მეცნიერებანი).

კრებული იხსნება სტატიით, რომელსაც წმინდა მათემატიკურ-მექანიკური გამოკვლევებისათვის მოულოდნელი უჩვეულო სათაური აქვს: **„In principio erat Muskhelishvili“ („პირველთაგან იყო მუსხელიშვილი“).** ავტორი გახლავთ ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის ექს-პრეზიდენტი, აწ ვენის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორი ჰერბერტ მანგი. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ეს სახელ-გვარი ადრეც რამდენჯერმე „გაჟღერდა“. საქმე ის არის, რომ ბატონი ჰერბერტი „შორიდან“ „დაუსწრებლად“ მიიჩნევს თავს დიდი ნიკო მუსხელიშვილის მოწაფედა და მიმდევრად.



ეთერ ქემერტელიძე საქართველოში მოზარდი მცენარეებიდან მიღებულ, ბიოლოგიურად აქტიურ ნვითიერებებსა და ორითა კოლექტივი (**დავით ლორთქიფანიძე, აბესალომ ვეკუა,** ჩრდილოეთ-ამერიკელი **ფილიპ რაიტმაიერი, ანა მარგველაშვილი**). დმანისურმა აღმოჩენებმა ახლებურად დააყენა პრობლემა ადრეული ადამიანის ევოლუციის, გავრცელების დროისა და გზების შესახებ. დღეისათვის უდავოა ის ფაქტი, რომ ევრაზიაში პირველი ჰომინიდი 1,81 მილიონი წლის წინათ უკვე ბინადრობდა სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე.

„ნიადაგის გაჭუჭყიანება მძიმე ლითონებით იმერეთის რეგიონში (საქართველო)“ – ასე ეწოდება **თენგიზ ურუშაძის, გიორგი ღამბაშიძის, ვაინფრიდ ბლუმისა და აქსელ მენთლერის** (ორი უკანასკნელი ვენის უნივერსიტეტიდანაა) სტატიას. აქ განხილულია რეგიონში მძიმე ლითონების შემცველობის შესწავლის შედეგები. ლაბორატორიულ კვლევაზე დაყრდნობით გაკეთებულია დასკვნები ნიადაგში ლითონების მოხვედრის შესაძლო წყაროების თაობაზე.

ფრიდონ თოდუასა და მერაბ ბერაიას ნაშრომში „სისხლის დინების ბიომექანიკა და ათეროსკლეროზის განვითარების ინიციალური ფაქტორები“ მიღებული შედეგები მძიმე დაავადების მკურნალობის იმ ახალი გზების განსაზღვრის საშუალებას იძლევა, რომლებიც მაქსიმალურად უახლოვდებიან ფიზიოლოგიურ მოვლენებს ადამიანის ორგანიზმში.

სტენოკარდიის სინდრომით მიმდინარე გულის იშემიური დაავადების დროს გერონტოლოგიური პაციენტების მკურნალობის ახალ მიდგომებს გვთავაზობენ **ნოდარ ყიფშიძე და ტატიანა ზუბიაშვილი.**

ნაშრომში „კულტურის ეკოლოგია“ **თამაზ გამყრელიძე** მიუთითებს ადამიანის ფიზიკურ-ბიოლოგიური ეკოლოგიისაგან კულტურულ-სოციალური ეკოლოგიის გარჩევის საჭიროებაზე.

დავით მუსხელიშვილის წერილს „საქართველოს ისტორიის ატლასი“ ჰქვია. ის ჯერ კიდევ 2003 წელს გამოსცა ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტმა, ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების თანამშრომელთა მიერ მომზადებული. ატლასი 67 ისტორიულ რუკას შეიცავს, რომლებზეც ქვეყნის პოლიტიკური ვითარება უძველესი ხანიდან დღევანდლამდეა ასახული. დავით მუსხელიშვილის ნაშრომში ვეცნობით იმ ისტორიულ ბაზისს, რომელზე დაყრდნობითაც ატლასი შეიქმნა.

„კავკასიის ალბანეთის მწერლობის ძეგლის აღმოჩენა და გაშიფვრა“ გახდა **ზაზა ალექსიძის** პუბლიკაციის საგანი. ახლადაღმოჩენილ ხელნაწერთა თეორიულმა გათვლებმა და ტექსტის გარეგნული სახის ტიპოლოგიურმა ანალიზმა ავტორი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ალბანური ტექსტი უნდა ყოფილიყო მთელი წლის საღვთისმსახურო წიგნი „ლექციონარი“.

ჩვენს ქვეყანაში ბერძნული წარწერების მთავარმა მესაიდუმლემ **თინათინ ყაუხჩიშვილმა** კასპის რაიონის სოფ. კავთისხევში ახლად აღმოჩენილი ბერძნული წარწერის „ქვადნადები“ გაგვანდო.

ქალბატონი თინათინი, მისთვის დამახასიათებელი გამოწვლილვითი ჩაკირკიტების შედეგად, დაასკვნის, რომ კავთისხევის წარწერის დათარიღება შეიძლება II-III საუკუნითაც და რომ იქ მოხსენიებულ საკუთარ სახელსა და ტექსტსაც თითქოს არაფერი საერთო აქვთ უფრო გვიან მიღებულ ქრისტიანულ რელიგიასთან...

ქართულ მეცნიერებას არასოდეს მოჰკლებია მსოფლიო მეცნიერული საზოგადოებრიობის ყურადღება. ახლა, როცა აკადემიის „მოამბე“ ასე მრავალმხრივ მოერგო საერთაშორისო სტანდარტებს, ეს ყურადღება ჟურნალის მეშვეობით, უთუოდ კიდევ მეტად გაიზრდება. საგულისხმოა, რომ ამდენი უცხოელი სპეციალისტი ან ინდივიდუალური ავტორია ნომრისა, ან ქართველ მკვლევართა თანაავტორი.

გამიჩნდა, რასაკვირველია, რამდენიმე შინაარსობრივი თუ ენობრივი წვრილმანი შენიშვნა, მაგრამ იმ ამაღლებული განწყობის ფონზე, რაც ჟურნალის გადახედვამ მომგვარა, იმათი გამომზეურება, ღმერთმანი, არ ღირს...

თამაზ ეგანოიძე

სხვადასხვა

● **სასიხარულოა, რომ ჩვენს უმაღლეს სასწავლებელს თავისი წვლილი შეაქვს არაბული ქვეყნებისთვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების საქმეში**

◎ კონტაქტები

არაბისტიკა საქართველოსა და კავკასიაში

ამ თემაზე გაიმართა თბილისში საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც აზიისა და აფრიკის ინსტიტუტმა და არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობების საქართველოს ასოციაციამ მოაწყო.

დიდი ინტერესი გამოიწვია ეგვიპტის „ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან ტექნიკური თანამშრომლობის ფონდის“ წარმომადგენლის პროფესორ იბრაჰიმ ჰანაფისა და ბაღდადის უნივერსიტეტის დოქტორანტის იჰაბ ტაზემის მოხსენებებმა.

„ისლამი თანამედროვე საქართველოში“, „არაბული წარწერები საქართველოში“, „მამლუქების როლი ერაყსა და ეგვიპტეში“ — ამ თემებს მიეძღვნა ქართველი სპეციალისტების თინათინ ქაროსანიძის, ლელა ავალიანის და ირაკლი თოფურიძის გამოსვლები.

— თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი აქტიურად მუშაობს საერთაშორისო კავშირების გაფართოებისა და გაღრმავებისთვის არაბულ სახელმწიფოებთან, რომელთა შორის ბევრს განვითარებული ეკონომიკა აქვს, — ამბობს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის ხელმძღვანელი ზურაბ დვალიშვილი. **— ეს ინსტიტუტი ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია ჩვენში, სადაც ფუნქციონირებს არაბული ენის სპეციალური განყოფილება. აქ ქართველი და არაბი სპეციალისტები აქტიურად ატარებენ საკვლევ სამუშაოთა ფართო სპექტრს.**

აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი, რომელსაც ცნობილი არაბისტი პროფესორი გურამ ჩიქოვანი ხელმძღვანელობს, კვალიფიცირებული კადრების ჭეშმარიტი სამჭედლოა. ექსპერტების აზრით, ამ უმაღლეს სასწავლებელს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს თავის კურსდამთავრებულთა შრომითიმოწყობის საქმეში (90 პროცენტზე მეტი). მათზე მოთხოვნილებაა საელჩოებში, კომპანიებსა და ფირმებში.

არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობების საქართველოს ასოციაციის თავმჯდომარე პროფესორი გურამ ჩიქოვანი გვიდასტურებს, რომ ასოციაციის მთავარი ამოცანა არაბულ ქვეყნებთან საქმიანი ურთიერთობების განვითარება და გაფართოვებაა ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების, განათლების დარგებში. ინსტიტუტის არაბული ენის განყოფილებაზე ამჟამად სწავლობენ დოქტორანტები ერაყიდან, მათ შორის ბაღდადის უნივერსიტეტის თანამშრომლები. ამ უმაღლეს სასწავლებელთან ჩვენ დადებული გვაქვს ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო პროგრამების, სტუდენტების, მასწავლებლების გაცვლა-გამოცვლას, სამეცნიერო სემინარებისა და კონფერენციების ერთობლივ ჩატარებას. სასიხარულოა, რომ ჩვენს უმაღლეს სასწავლებელს თავისი წვლილი შეაქვს არაბული ქვეყნებისთვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების საქმეში. თავის მხრივ საინტერესო სამუშაო გასწია ბაღდადის უნივერსიტეტში ჩვენი ინსტიტუტის ახალგაზრდა სპეციალისტმა ირაკლი თოფურიძემ. აქტიურად ვთანამშრომლობთ არაბული ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებთან, კერძოდ ალეპოსა და ლატაკიის უნივერსიტეტებთან (სირია), გამოვცემთ ცნობილ ქართველ და არაბულ მწერალთა ნაწარმოებებს და სხვ.

მურად ალაშვილი
ავტორის ფოტო.

◎ კაი ყმის გახსენება!

მართლაც, ცუდას რად უნდა მტერობა!

ანუ შვიდი წელიწადი, რომელმაც უფრო მოგვანატრა შოთა ეცადაშვილი

შვიდი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შოთა ეცადაშვილი, ეს უანგარო ადამიანი და ერისკაცის თვისებებით უხვად დაჯილდოებული პიროვნება ჩვენს ცოდვილ წუთისოფელს განეშორა და საუკუნო სასუფეველში დამკვიდრდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი (მაშინ საქართველოში ერთი უნივერსიტეტი გვქონდა!) 1956 წელს დავამთავრეთ. შოთა მისივე თხოვნით მშობლიურ სოფელ ფლავში (გორის რაიონი) ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი კოლმეურნეობის ბრიგადირად გაამწესეს, სადაც თავისი სამართლიანი და კაცური თვისებებით გლეხების ნდობა და ავტორიტეტი მოიხვეჭა. მალე მათივე მოთხოვნით კოლმეურნეობის თავმჯდომარედ გადაიყვანეს და ორიოდე წელიწადში კოლმეურნეობა მოწინავეთა რიგებში მოექცა. შემდეგ გორში წაიყვანეს პარტიის რაიონული კომიტეტის რიგით მდივნად, სულ მალე კი გურჯაანის რაიკომის პირველ მდივნად დანიშნეს, სადაც ეს ქართლელი კაცი კახელთა უსაყვარლესი ადამიანი გახდა. 4 წლის მანძილზე იქ ყოფნისას თბილისი-გურჯაანის გზა და ამ რაიონის შიდა სასოფლო გზები აღადგინა-გაარემონტა, გურჯაანში სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი „ჯარისკაცის მამის“ ძეგლი დადგა და სკვერი (პარკი) მოაწყო, უძველეს ისტორიულ სოფელ ჭერემს ახალი სიცოცხლე შესძინა, ხოლო შემდეგ, მცხეთის რაიკომის მდივნად მუშაობისას, ბებრის ციხის რესტავრაცია ჩაატარა და თეატრონი გააშენა...

ასევე მოუსვენარი და დაუცხრომელი იყო შოთა სოფლის მეურნეობის მინისტრად მუშაობისას. აქაც ის ისევე არ ჰგავდა ჩვეულებრივ მინისტრს, როგორც მანამდე არ ჰგავდა ჩვეულებრივ რაიკომის მდივანს...

მეგობრებთან ურთიერთობაში შოთა განუმეორებელი იყო. არ ვიცი, როგორ ახერხებდა უკლებლივ ყველას მიმართ ყურადღების შენარჩუნებას. შოთამ ითავა რამდენიმე გარდაცვლილი ხელმოკლე მეგობარი თანაკურსელის გაპატიოსნება... თუ რომელიმე ჩვენგანი ლხინის სუფრას მოაწყობდა, შოთა მის გვერდში იდგა... მე უშუალო მოწმე ვარ შოთას საოცარი გულკეთილობისა და ზრუნვისა, მისი თანაკურსელი მეგობრები ხშირად ვიყავით მასთან იმ რაიონებში, სადაც შოთა მუშაობდა და მათი აღმშენებლობის გეგმებს გვიზიარებდა. კარგად ვიცნობდით შოთას ოჯახის მოკრძალებულ ცხოვრებასაც, რომელიც მაშინდელი რაიკომის მდივნების ცხოვრების წესისგან თვალნათლივ განსხვავდებოდა.

შოთას კიდევ რამდენი კეთილი საზოგადო საქმის გაკეთება შეეძლო, მაგრამ არ დასცალდა. 1985 წლიდან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი მდივნის დანიშვნით, შოთას აღმშენებლობითი საქმიანობა შეწყდა. დაიწყო რევიზიები, თუ რა სახსრებითა და საშუალებებით ახერხებდა ამდენი გზის, სოფლის და ა.შ. აღდგენას, რაზე „ფლანგავდა“(?) სახელმწიფო სახსრებს(!). „პირველი პირების“ ამ ხუშტურებმა შეიწირა შოთას ჯანმრთელობაც. შოთა გულით მძიმედ დაავადდა და 2000 წლის 8 ივნისს 67 წლისა გარდაიცვალა. არადა, მას კიდევ რამდენი სიკეთის გაკეთება შეეძლო!!

იგი მადლიერმა გურჯაანელებმა დაიტირეს...

ამირან გაბისონია

P. S. არ მეგულება შოთა ეცადაშვილის არამცთუ მეგობარი, უბრალოდ მისი ნაცნობიც კი, ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია მასთან ურთიერთობა და სიამოვნებით არ მოაწერდა ამ წერილს ხელს. სწორედ მათი სახელითაც ვწერ ამ მოსაგონარს.

ა. გ.

◎ ინფორმაცია

რუსული სამხედრო ტექნიკის გაყვანა გრძელდება

ბათუმის რკინიგზის სადგური რუსული სამხედრო ტექნიკით **დატვირთულმა კიდევ ერთმა ეშელონმა დატოვა.** წუხელ 00.40 საათზე საქართველოს ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ტექნიკით დატვირთული 34 ვაგონი გავიდა. ეშელონი ვლადიკავკაზის მე-19 მოტომსროლელთა დივიზის მიმართულებით დაიძრა. შემდეგი ეშელონი საქართველოდან 14 ივნისს, ბათუმის სამხედრო ბაზიდან გავა.

ლიბანელი მოქალაქის ავტომანქანა იპოვეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ლიბანელმა ბიზნესმენმა მიშელ მუსიმ მადლობა გადაუხადა.

როგორც მიშელ მუსიმ შს სამინისტროში ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ქალაქ ბეირუთიდან 2005 წელს გატაცებული მისი კუთვნილი ავტომანქანა „მერსედეს ბენცის“ პოვა მხოლოდ საქართველოს შს სამინისტრომ მოახერხა.

მისივე განმარტებით, ავტომანქანას ეძებდნენ ლიბანელი და თურქი სამართალდამცავებიც, თუმცა მისი პოვნა მათ ვერ მოახერხეს.

მიშელ მუსიმ ავტომანქანა 2005 წლის 12 ოქტომბერს ლიბანში დაკარგა. როგორც საქართველოს შს სამინისტრომ გაარკვია, ავტომანქანა ლიბანში ახმად ნერხიმ გაიტაცა, რომელმაც მოგვიანებით თურქეთში გაყიდა. მყიდველის ვინაობა დაუდგენელია, თუმცა ცნობილია იმ ქართველის ვინაობა, რომელმაც ავტომანქანა იყიდა. იგი გვარად გომაშვილია, რომლისგანაც შემდეგ ვინმე ყიფშიძემ იყიდა.

საბოლოოდ შს სამინისტრომ ავტომანქანა ყიფშიძისგან ამოიღო, თუმცა შს სამინისტროში აცხადებენ, რომ ყიფშიძე კეთილსინდისიერი მყიდველია.

ინტერპრესნიუსი

შვილი ირინა გიგინეიშვილი, შვილიშვილები მიკი, კიწი გიგინეიშვილები, ლიკა კალანდაძე, შვილთაშვილი მიშიკო გიგინეიშვილი, სიძე გურამ კალანდაძე, რძალი ირინა ჩაჩავა, ნანა ფარულავა, დისწულები ნანი ბრეგვაძე, ივიკო საყვარელიძე, ზურიკო, თემურ კალანდაძეები ოჯახებით იუწყებიან

ქეთევან ალექსანდრეს ასულ მიქელაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9 VI, 17 სთ. დაკრძალვა 10 VI, 15 სთ. ალ. ჭავჭავაძის ქ. №2.

ირაკლი აბაშიძის ქ. №39-ის მობინადრეები დიდ გულისტკივილს გამოხატავენ უახლოესი მეზობლის, უაღრესად კეთილი, ყურადღებიანი და შესანიშნავი ახალგაზრდის

ოთარ ხუნდაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

№ 107. პარასკევი, 8 ივნისი, 2007 წელი.

● ხალხის კეთილდღეობაზე თავდადებულმა, შოლოხოვის ლაურეატობის საამაყო წოდების გამართლების მსურველმა, უგომ გადაწყვიტა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების გაუქმება, ამასთან ერთად სესიებისაც — წარსულის გადმონაშთებიაო.

⊙ ინფორმაცია

ბჭობა გარეჯის კომპლექსის ბედისა გამო

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიორგი მანჯგალაძემ საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებს დავით გარეჯთან დაკავშირებით ინფორმაცია მიაწოდა.



პარლამენტში მიმდინარე შეხვედრა, რომელსაც საპატრიარქოსა და სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა.

ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ წევრმა ზვიად ძიძიგურმა განაცხადა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი იყო დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებული ინფორმაცია, თუ რა სტადიაშია მოლაპარაკებები აზერბაიჯანულ მხარესთან.

გიორგი მანჯგალაძის განცხადებით, მოლაპარაკებების მორიგი ეტაპი აზერბაიჯანულ მხარესთან, სავარაუდოდ, ივლის-აგვისტოში გაიმართება.

ინტერპრესნიუსი

⊙ ცხრა მთას იქით

ამხანაგი უგო ჩავესი — ლაურეატი

ამ დღეებში ვენესუელის პრეზიდენტი შოლოხოვის სახელობის პრემიის ლაურეატი გახდა. ეგ კია, რომ პირადად არ აპირებს ჯილდოს მიღებას — სამგზავროდ ერთობ შორია. ალექსის ნავაროს — რუსეთში ვენესუელის ელჩს დაავალება მხრებზე პრემიის გადაცემის მთელი საზრუნავი.

შოლოხოვური კომისიის თავმჯდომარის ვიაჩესლავ ორლოვის თქმით, ეს ჯილდო მიეკუთვნება როგორც რუსეთის, ისე სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეებს ლიტერატურასა და ხელოვნებაში ისეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებების შექმნისათვის, რომლებიც ნიჭიერად ასახავენ მათი სამშობლოს ისტორიასა და თანამედროვეობას, განავითარებენ შოლოხოვის რეალისტურ ტრადიციებს. უგო ჩავესს კი პრემია მიენიჭა ხალხის თავისუფლების, სამოქალაქო უფლებებისა და სოციალიზმისათვის თავგანწირული ბრძოლისათვის.

სინამდვილეში ზედგამოჭრილი სოციალიზმი, უფრო ზუსტად კი კომუნიზმი, ვენესუელის მეთაურმა უკვე დაამყარა ქვეყნის განათლების სფეროში. ხალხის კეთილდღეობაზე თავდადებულმა, შოლოხოვის ლაურეატობის საამაყო წოდების გამართლების მსურველმა, უგომ გადაწყვიტა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების გაუქმება, ამასთან ერთად სესიებისაც — წარსულის გადმონაშთებიაო. რა თქმა უნდა, ამან სტუდენტების საყოველთაო აღფრთოვანებაც გამოიწვია.

...აფსუს, რუსეთთან რომ კარგად არა ვართ — ეგებ ჩვენს ალექსანდრე (კახა) ლომაიასაც მიელო ეგ შოლოხოვის პრემია (მერე რა, რომ „ბავშვის“ სწორად წერა არ იცის) და ასევე გახარებულს, ათასობით აქაური აბიტურიენტის (მინისტრს რომ „აბითურიენტი“ ჰგონია, ალბათ ფიქრობს, „ბითურიდან“ წარმოდგებაო...) ზეზეიმოდ, უაზროსახელწოდებიანი „ეროვნული გამოცდები“ მოეშალა...

უცხოური პრესის მიხედვით

⊙ გვემრავლოს!

„ბიჭის მამა შინ არ არის, მზევ, შინ შემოდიო“

— ძვირფასო რედაქციავ, ჩემი შვილიშვილის აჩიკოს მამა ლევანი უცხოეთში დროებით სამუშაოზეა წასული. მას ტელეფონით ვაცნობეთ შვილის დაბადება. ჩვენმა რძალმა თამრიკომ თბილისის მე-4 სამშობიარო სახლში მოილოგინა, სამედიცინო პერსონალის მადლობელი ვართ. ძალიან ყურადღებიანნი არიან.

ბიჭს არჩილი დავარქვით, ასეთი იყო მამამისის სურვილიც თუ ვაჟი შეეძინებოდა, ძმის სახელს დაარქმევდა. ეს მისი მეორე შვილია, უფროსი ქალიშვილი ჰყავს — თამთა.

თქვენც მადლობას გიხდით, რომ ამის გამოხატვის საშუალებას გვაძლევთ. ლევანი იქიდან ასე შეგვეხმიანა: „ბიჭის მამა შინ არ არის, მზევ, შინ შემოდიო“. მენატრებით, საქართველოდან შორს ვერ ვძლებ, მალე დავბრუნდები, მელოდეთო. ჩვენც ველოდებით, — გვითხრა რედაქციაში მოსულმა თებროლე გენძეხაძემ.

ოჯახისთვის ბიჭის შეძენა მოგვილოცნია!

ნათელა ფაილოძე

თბილისის № 13 პოლიკლინიკის ჰომეოპათიური განყოფილება

მაღალკვალიფიციური ექიმი-სპეციალისტები
თ. ალაშვილი, თ. ჭანტურია, ი. ზუბაშვილი

მკურნალობენ: ალერგიულ, აუტოიმუნურ და ანთებით დაავადებებს, ტრომბოციტოპენიას, C-ჰეპატიტს, ალკოჰოლურ ციროზს, პროსტატის ანთებას და სხვა პათოლოგიებს.

მისამართი: რუსთაველის გამზირი 28/ ა. ჭავჭავაძის ქ. № 2.

ტელეფონი: 98-64-86;
მობილური: 8-99-55-99-61.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-96-32;
899 328576

⊙ ლარის კურსი

8 ივნისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი

ინგლისური გირვ. სტერლ.	1	3,3411	ლარი
აშშ დოლარი	1	1,6770	ლარი
ევრო	1	2,2631	ლარი
რუსული რუბლი	1	0,0649	ლარი.
აზერბაიჯანული მანათი	1	1,9577	ლარი.
სომხური დრამი	100	0,4856	ლარი.
უკრაინული გრივნა	10	3,3347	ლარი.

⊙ კადრი

⊙ ანეკდოტები

— რამდენიმე წლის წინათ ჩემი ქმარი გაქრა. როგორ ფიქრობთ, დამიბრუნდება? — ეკითხება ქალი რაბინს.

— ასეთი რთული საკითხი მთავარ რაბინთან უნდა გავარკვიო. ხვალ მოდით.

— რა გითხრათ მთავარმა რაბინმა? — ეკითხება ქალი მეორე დღეს.

— რა და, დაუბრუნდებაო. მაგრამ მე მგონია, რომ არ დაგიბრუნდებათ.

— თუ მთავარ რაბინს ასე ჰგონია, თქვენ რატომ ფიქრობთ საწინააღმდეგოს?

— იმიტომ, რომ მას არ უნახიხართ, მე კი გხედავთ!

* * *

— რაო, ნახე ჩემი ქორწილის კასეტა? — ეკითხება ტიპი ძმაკაცს.

— შენ რაღაც პორნოგრაფია შემოგიჩეჩებია!

— შენც უნდა გადაგეხვია. ქორწინების სახლი, ხელმოწერა, რესტორანი, კოცნა წინ იყო...

* * *

— მამი, ვინ არიან ტრანსვესტიტები?

— არ ვიცი, უმჯობესია, ლიფის შეკვრაში დამეხმარო!

* * *

ტერორისტებმა მოიტაცეს ამერიკული, ფრანგული და რუსული თავდაცვითი მრეწველობის საწარმოთა თანამშრომლები. ერთსაათიანი წამების შემდეგ ამერიკელმა გასცა უახლესი ამერიკული ფრთიანი რაკეტის მოწყობილობა. ორსაათიანი წამების შემდეგ ფრანგმა გასცა უახლესი ფრანგული ბომბდამშენის სქემა. ერთკვირიანი წამების შემდეგ რუსმა დახატა ქანჩი სამ ვარიანტად.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“. მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14. ტ: 899 537616; 98-96-33.
შპს „თანადგომა -1“ ძიზიძის ქ. № 12. ტ: 899 797679; 98-96-32.

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, [illegible], 20.

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
მამუკა ვაშაკიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.